



დანართი

სამეანო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
უმაღლესი განათლების I და II საფეხურები
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები



სარჩევი

I.	შესავალი	3
II.	სწავლის სფეროს აღწერა	5
	2.1 სამეანო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა.....	10
	2.2 სამეანო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა.....	11
III.	სწავლის შედეგები.....	11
	3.1 სამეანო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები.....	12
	3.2 სამეანო საქმის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები.....	30
IV.	მისანიჭებელი კვალიფიკაცია.....	36
V.	სწავლება, სწავლა და შეფასება.....	36
	5.1 სწავლისა და სწავლების მეთოდები	36
	5.2. სწავლის შედეგების შეფასება	39
VI.	დამატებითი ინფორმაცია	42
	6.1 დარგობრივი მახასიათებლის ამოქმედებისა და მასთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის ვადები	45
VII.	დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები.....	47
	7.1. დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები.....	47
	დანართი №1.....	53



I. შესავალი

სამეანო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი. იგი ასახავს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის შესაბამისი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდებს, რესურსებს და სხვა არსებით მახასიათებლებს. სამეანო საქმის (კოდი - 0913.1.2) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი, სფეროს შესაბამისი, უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის შემუშავებისა და განვითარების მნიშვნელოვანი გარე შეფასების წყაროა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, მინიმალური სავალდებულო თამასის დაწესებით, ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას, პროგრამების სტრუქტურის მოქნილობასა და მრავალფეროვნებას. საგულისხმოა, რომ წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული სწავლის შედეგებისა და სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდებისა და რესურსებთან დაკავშირებული სავალდებულოდ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა სამეანო საქმის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის. ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შინაარსი და მისი განხორციელების გზები თითოეული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განისაზღვრება ავტონომიურად.

აღნიშნული დოკუმენტი აღწერს ცოდნას, უნარებსა და მათი პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამისი ხარისხით გამოყენების კომპეტენციებს, რომლებიც მოეთხოვება სამეანო საქმის ბაკალავრისა და მაგისტრის კვალიფიკაციის მქონე პირს.

დარგობრივი მახასიათებლის მიზანია ხელი შეუწყოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამეანო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის/კურიკულუმის შემუშავებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვას, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე სტუდენტთა მობილობას, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას, მეან-ექთნის პროფესიაში შესვლისთვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავებას და ამ გზით, დასაქმების ხელშეწყობას, პროფესიული განვითარების მხარდაჭერას და საქმიანობაში თავისი შესაძლებლობების რეალიზებასა და კარიერულ წინსვლას. პროგრამის კურსდამთავრებული შემდეგს უახლესი სამედიცინო ტექნოლოგიებისა და სამეანო მოვლის მეთოდების გამოყენებას პრაქტიკაში და მომდევნო საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას.

დარგობრივი მახასიათებლის შექმნის მიზანია მოცემული სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მოთხოვნებთან და სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ადგილობრივ და საერთაშორისო



სტანდარტებთან, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. დარგობრივი მახასიათებელი ასევე მიზნად ისახავს სამეანო საქმის საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანას საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან, კერძოდ 2024 წლის 21 თებერვლიდან „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით მეან-ექთნის (Midwife) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები გახდა რეგულირებადი. ამავე კანონის თანახმად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლების შემუშავებასა და დამტკიცებას. გარდა ამისა, 2024 წელს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა სამეანო საქმის სფეროს საგანმანათლებლო პროგრამების განახლებულ სამართლებრივ რეგულაციებთან შესაბამისობაში მოყვანის საჭიროება.

ინგლისურად დარგობრივი მახასიათებლის დასახელება - Subject Benchmark Statement of Midwifery.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

სამეანო საქმის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები და მეან-ექთნის პროფესიაში შესვლა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით რეგულირდება.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- სამეანო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-განვითარებასა და განხორციელებაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური, ადმინისტრაციული და მოწვეული პერსონალისთვის;
- საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართულ პირებისთვის;
- აბიტურიენტებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან სამეანო საქმის შესწავლით;
- სტუდენტებისთვის, რომლებიც სწავლობენ სამეანო საქმის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- უცხოელი სტუდენტებისთვის, რომელთაც გაცვლითი პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში, განზრახული აქვთ სწავლა განაგრძონ საქართველოში სამეანო საქმის საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- დამსაქმებელებისთვის, რომლებიც დაინტერესებული არიან წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმებით.



II. სწავლის სფეროს აღწერა

სამეანო საქმე განისაზღვრება როგორც მშობიარე ქალებისა და ახალშობილების, კვალიფიციურ, საფუძვლიან ცოდნაზე, თანაგრძნობასა და ზრუნვაზე დაფუძნებული მოვლა. ორსულობამდელი პერიოდიდან – ორსულობის, მშობიარობის, მშობიარობის შემდგომი ეტაპისა და ცხოვრების ადრეული კვირების განმავლობაში. არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ სამეანო საქმიანობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის დაცვასა და გაუმჯობესებაში, როდესაც სამეანო მომსახურებას უზრუნველყოფენ განათლებული, სპეციალურად გადამზადებული, კვალიფიციური და ლიცენზირებული მეანები. სამეანო საქმე პირდაპირ კავშირშია დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობაზე ზრუნვის ხარისხის ამაღლებასთან და სიკვდილიანობის შემცირებასთან.

სამეანო საქმეში განათლება ეფუძნება მეანთა საერთაშორისო კონფედერაციის (ICM) გლობალურ სტანდარტებს, უზრუნველყოფს მეანი-ექთნებისთვის ისეთი კომპეტენციების გამომუშავებას, რომლებიც აუცილებელია ხარისხიანი, ადამიანზე ორიენტირებული და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მომსახურების გასაწევად. აღნიშნული სტანდარტები გულისხმობს პარტნიორულ მუშაობას ქალებთან, მათი უფლებების პატივისცემას, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და ზრუნვას ჯანდაცვის სხვა პროფესიონალებთან თანამშრომლობის გზით.

თანამედროვე სამეანო პრაქტიკა მოიცავს არა მხოლოდ ფიზიოლოგიური მშობიარობის ხელშეწყობას, არამედ გართულებების ამოცნობასა და მართვას, რეფერირებას და საჭიროების შემთხვევაში, სხვა სპეციალისტების ჩართვას. გარდა ამისა, სამეანო საქმე მნიშვნელოვან როლს ასრულებს სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის, ბავშვის ადრეული განვითარების, ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერისა და დედათა და ახალშობილთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

მეანი-ექთნები წარმოადგენენ დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის სფეროს კომპეტენტურ პროფესიონალებს, რომლებსაც მიღებული აქვთ შესაბამისი განათლება, გადიან პროფესიულ გადამზადებას და მათი სწავლება და საქმიანობა რეგულირდება, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მეანი-ექთნების ძირითადი ფუნქციებია ქალებისა და ახალშობილთათვის მტკიცებულებაზე დაფუძნებული, ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული, ხარისხიანი, სოციოკულტურულად მგრძობიარე და ღირსეული ზრუნვის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა; მშობიარობის პროცესში ფიზიოლოგიური მექანიზმების მხარდაჭერა და პოზიტიური მშობიარობის გამოცდილების უზრუნველყოფა; სამედიცნო გართულებების მქონე ქალებისა და/ან ახალშობილების ამოცნობა და მართვა ან საჭიროების შემთხვევაში შესაბამის პროფესიონალებთან გადამისამართება.

სათანადო მხარდაჭერილ გარემოში, საერთაშორისო სამეანო კონფედერაციის (ICM) სტანდარტებით გადამზადებული მეანი-ექთნები თითქმის სრულად უზრუნველყოფენ ქალებისა



და ახალშობილებისთვის საჭირო აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას. (ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული კომპეტენციები შესაძლოა სხვადასხვა დასახელების მქონე სპეციალისტების მიერ განხორციელდეს.)

სამედიცინო სერვისების გლობალური სტანდარტების თანახმად, ხარისხიანი სამედიცინო განათლება და პრაქტიკა აღიარებულია, როგორც ეფექტური გზა დედეებისა და ახალშობილების სიკვდილიანობის შესამცირებლად, მშობიარობის დადებითი გამოცდილების გასაძლიერებლად და ჯანდაცვის სისტემების ეფექტიანობის ასამაღლებლად.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიხედვით, გარდა დედათა და ახალშობილთა სიკვდილიანობის პრევენციისა, ხარისხიანი სამედიცინო სერვისი ასევე აუმჯობესებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ 50-ზე მეტ მაჩვენებელს, მათ შორის სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან, იმუნიზაციასთან, ძუძუთი კვების მხარდაჭერასთან, ორსულობაში თამბაქოს მოხმარების შეწყვეტასთან, მალარიასთან, ტუბერკულოზთან, აივ ინფექციასა და ორსულობისას ჭარბ წონასთან ბრძოლაში, ასევე ბავშვთა ადრეულ განვითარებასა და მშობიარობის შემდგომ დეპრესიასთან დაკავშირებულ შედეგებს.

სამედიცინო საქმე ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს შეეხება. 2024 წლიდან საქართველოში „ჯანმრთელობის დაცვის“ და „უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონებში შეტანილი ცვლილებები მეან-ექთანთა საქმიანობის რეგულირებას, პერსონალის დეფიციტის დაძლევისა და ამით სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ამავე დროს თანხვედრაშია ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივასთან 2005/36/EC პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების შესახებ და ამავე დოკუმენტში განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, სამედიცინო საქმის საბაკალავრო პროგრამები, ძირითადად, აქცენტს სვამენ პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლებაზე, სტუდენტები დროის დიდ ნაწილს ატარებენ კლინიკურ პრაქტიკაზე სამშობიარო სახლებში, კლინიკებში და საზოგადოებრივ ჯანდაცვის ორგანიზაციებში.

საბაკალავრო პროგრამები, ძირითადად, ემსახურება სტუდენტებში ფიზიოლოგიური მშობიარობის დამოუკიდებლად წარმართვის უნარების ჩამოყალიბებას. პროგრამებში დაცულია თეორიისა და პრაქტიკის ბალანსი, სწავლების შინაარსი მოიცავს საბაზისო სამედიცინო დისციპლინებს, ანატომიას, ფიზიოლოგიას, ბიომედიცინას, ფარმაკოლოგიას, ქალთა ჯანმრთელობას, გენდერულ საკითხებს და ეთიკას. სტუდენტები სწავლობენ ჯანდაცვის სისტემის სოციალურ დეტერმინანტებს, კულტურულ კომპეტენციებს და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას.

საბაკალავრო პროგრამების უმრავლესობა მოიცავს კლინიკურ კომპეტენციათა შეფასებას, პორტფოლიოს და კვლევაზე დაფუძნებულ ნაშრომს ან/და საკვალიფიკაციო ნაშრომს.



როგორც წესი, სამედიცინო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები კურსდამთავრებულებს ამზადებს დამოუკიდებელი მეან-ექთნის, სამედიცინო საქმის მიმართულებით საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტის და სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის რეპროდუქციული ჯანმრთელობის სპეციალისტის პოზიციებზე მუშაობისთვის.

სამედიცინო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ძირითადად ორიენტირებულია კლინიკური კომპეტენციების გაუმჯობესებასა და ვიწრო სპეციალიზაციის მიმართულებით (მაგ.: მაღალი რისკის ორსულობა, სამედიცინო საქმის მენეჯმენტი, მენტორობა, ან კვლევა) ცოდნისა და უნარების განვითარებაზე.

პროგრამები, ძირითადად აქცენტს სვამენ მტკიცებულებაზე დაფუძნებულ მიდგომებსა და კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და წარმართვის უნარების განვითარებაზე; ლიდერობასა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე; ჯანდაცვის პოლიტიკის შექმნაში მონაწილეობაზე და ჯანდაცვის სისტემაში გადაწყვეტილებების მიღებასა და ორგანიზაციულ ხელმძღვანელობაზე.

როგორც წესი, სამედიცინო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები კურსდამთავრებულებს ამზადებს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის; მედიცინის ვიწრო სპეციალიზაციით დასაქმებისთვის (მაგ. ნეონატალური ზრუნვა, მაღალი რისკის ორსულობა და ა.შ.) სამედიცინო დაწესებულების მენეჯერის ან ადმინისტრატორის პოზიციებზე დასაქმებისთვის; რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში პოლიტიკის შექმნასა და აღსრულებასთან დაკავშირებული პოზიციებისთვის.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უმაღლესი განათლების საფეხურზე სამედიცინო საქმის საგანმანათლებლო პროგრამები შესაძლებელია განხორციელდეს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურებზე. სამედიცინო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირები, რომლებიც წარმატებით გაივლიან ერთიან ეროვნულ გამოცდებს. საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის წესი და პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მეან-ექთნის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს დამოუკიდებელი მეან-ექთნის საქმიანობის უფლება ენიჭება სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის მოპოვების საფუძველზე, ამ შემთხვევაში მას ენიჭება რეგისტრირებული მეან-ექთნის წოდება. რეგისტრირებული მეან-ექთნის წოდების მინიჭების წესი და პირობები მტკიცდება საქართველოს კანონით ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტით. კანონის თანახმად, მეან-ექთნის დამოუკიდებელი საქმიანობის უფლება 5 წლის ვადით ენიჭება.

მეან-ექთნის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ასევე უფლება აქვს სწავლა განაგრძოს შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში და აღნიშნული პროგრამის კურსის დასრულების შემდეგ ჩაერთოს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში



ან/და განახორციელოს შესაბამისი პედაგოგიური საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. მეან-ექთნის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ხორციელდება. მეან-ექთნის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება უმაღლესი კატეგორიის პრაქტიკოსი მეან-ექთნის წოდება. პირებს უმაღლესი კატეგორიის პრაქტიკოსი მეან-ექთნის წოდებას ანიჭებს საბჭო. პირებისთვის აღნიშნული წოდებების მინიჭება შესაბამისი მოწმობების გაცემით დასტურდება. უმაღლესი კატეგორიის პრაქტიკოსი მეან-ექთნის შესახებ ინფორმაცია ექთნებისა და მეან-ექთნების რეესტრში აისახება.

მეან-ექთნის საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ექთნებისა და მეან-ექთნების პროფესიული განვითარებისა და რეგულირების ეროვნული საბჭოს მეშვეობით.

სამეანო საქმის მომიჯნავე სწავლის სფეროებია: მედიცინა, საექთნო საქმე, ჯანდაცვა და სოციალური კეთილდღეობა, სოციოლოგია და ფსიქოლოგია.

პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივის 2005/36/EC თანახმად, სამეანო საქმის სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები უნდა იყოს არანაკლებ 3 წლის ხანგრძლივობისა და არანაკლებ 3600 საათის მოცულობის და მოიცავდეს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას.

მეანთა საერთაშორისო კონფედერაციის (ICM) 2021 წლის გლობალური სტანდარტები განსაზღვრავენ მინიმალურ მოთხოვნებს საბაზისო სამეანო განათლების პროგრამებისთვის, რაც მოიცავს:

- პირდაპირი ჩარიცხვის პროგრამის მინიმალური ხანგრძლივობას (Direct-entry midwifery education): არანაკლებ 36 თვისა (სამი კალენდარული წელი) ან მეტს.
- საათების სავარაუდო მინიმალური რაოდენობას (სრული განაკვეთისთვის): მიახლოებით 4,600 კუმულაციური საათი. ეს რიცხვი რეგიონების მიხედვით განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს „სრული დატვირთვით“ სწავლას; მაგალითად, კუმულაციური საათები 4600-დან 4908-მდე მერყეობს.

ეროვნულ დონეზე სამეანო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ხანგრძლივობად (4 წელი, არანაკლებ 240 ECTS კრედიტი) 4-წლიანი მოდელის განსაზღვრა იძლევა საშუალებას, პროგრამა სრულად შეესაბამებოდეს ICM-ის გლობალურ სტანდარტებს, რაც ზრდის ქართული დიპლომის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მეანობა აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიოლოგიური მშობიარობის მართვით. მეანი განიხილება, როგორც რეპროდუქციული ჯანმრთელობის



პირველადი რგოლის სპეციალისტი. საერთაშორისო სივრცეში სულ უფრო იზრდება მეანების ჩართულობის მნიშვნელობა ისეთი მიმართულებებით, როგორცაა:

- ოჯახის დაგეგმვა და კონსულტირება;
- ახალშობილის რეანიმაცია და კრიტიკული მდგომარეობების მართვა;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია.

ევროპული დირექტივა (2005/36/EC) და ICM-ის მოთხოვნები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს უთმობს კლინიკურ სწავლებას (სულ მცირე 100 პრენატალური კონსულტაცია, 40 მშობიარობის დამოუკიდებლად მართვა და ა.შ.).

საქართველოში კლინიკური ბაზების დატვირთულობიდან გამომდინარე, სტუდენტს სჭირდება მეტი დრო, რათა დააგროვოს მანიპულაციების ის რაოდენობა, რაც სამეანო საქმის სფეროს მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტებითაა განსაზღვრული. ამ მოსაზრებით, 3 წელი ხშირად არასაკმარისია პრაქტიკული უნარების სრულყოფილად გამოსამუშავებლად.

საგულისხმოა, რომ ევროპული ქვეყნების უმეტესობა (მაგ. დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, სკანდინავიის ქვეყნები) ნაწილობრივ ან სრულად გადასულია 4-წლიან საბაკალავრო პროგრამებზე მეანობაში.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საქართველოში სამეანო საქმის 4-წლიანი საბაკალავრო მოდელის (240 ECTS) დანერგვა აუცილებელია საერთაშორისო სტანდარტებთან სრული თავსებადობისთვის, რაც უზრუნველყოფს კლინიკური უნარების საფუძვლიან გამომუშავებას, მეანის, როგორც რეპროდუქციული ჯანმრთელობის ავტონომიური სპეციალისტის კომპეტენციების გაფართოებას და საქართველოში გაცემული დიპლომის გლობალურ კონკურენტუნარიანობას.

პროფესიების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის (ISCO) მიხედვით სფეროს კოდია 2222 — პროფესიონალი მეანები.

სამეანო საქმის სწავლის სფეროს კვალიფიკაციის დასახელებების ფორმულირებაა:

- სამეანო საქმის ბაკალავრი Bachelor of Midwifery
- სამეანო საქმის მაგისტრი Master of Midwifery



2.1 სამეანო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა

ხანგრძლივობა მოცულობა ECTS	4 წელი Min 240 ECTS	სტრუქტურა	სწავლის სფეროს შესაბამისი კრედიტები/კ ომპონენტები	Min 220 ECTS	მათ შორის: სამეანო საქმის უცხოენოვანი პროგრამისთვ ის ქართული ენა არანაკლებ 12 (ECTS) კრედიტი	<ul style="list-style-type: none"> • სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები • სამეცნიერო-კვლევითი უნარების კომპონენტი
			ზოგადი ან/და თავისუფალი კომპონენტები	Max 20 ECTS		<ul style="list-style-type: none"> • სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები/მოდულები

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 52³ მუხლის თანახმად, დამოუკიდებელი მეან-ექთნის საქმიანობის განსახორციელებლად სავალდებულოა სახელმწიფო ენის ცოდნა. სამეანო საქმის უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული უნდა იყოს პაციენტებთან და სამედიცინო პერსონალთან ეფექტური კომუნიკაციისთვის ქართული ენის სწავლება (სულ მცირე, 12 (ECTS) კრედიტი).

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, სამეანო საქმის სახელმწიფოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე 2025 წლის 1 აგვისტოდან ჩარიცხული სტუდენტებისთვის სავალდებულოა სახელმწიფო ენის სპეციალური კურსის გავლა.

სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი უნდა განხორციელდეს სწავლების პირველ აკადემიურ წელს. სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი ხორციელდება არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში. სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი, შეყვანილი უნდა იყოს საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნების ჩამონათვალში.



2.2 სამეანო საქმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებისა და სამაგისტრო საფეხურისთვის წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული სწავლის შედეგების მოცულობისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, სამაგისტრო პროგრამის მოცულობა უნდა განისაზღვროს არანაკლებ 120 ECTS კრედიტით.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე სწავლის დასრულებისას. დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგების მინიმალური სავალდებულო მოთხოვნების, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით უსდ-ს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.



3.1 სამეანო საქმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

N	კომპეტენცია	კომპეტენციის აღწერა	კომპეტენციის მისაღწევად რეკომენდებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები	კომპეტენციის შეფასების რეკომენდებული მეთოდები
1.	<p>ფართო ზოგადი ცოდნა სამეანო საქმის პრინციპების, კონცეფციისა და თეორიების; სამეანო საქმის საბაზისო ბიოსამედიცინო, კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების შესახებ.</p>	<p><u>საბაზისო ბიოსამედიცინო მეცნიერებები:</u></p> <p>ადამიანის ორგანიზმის აგებულება (ანატომია, ჰისტოლოგია), ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირება (ფიზიოლოგია), ადამიანის ორგანიზმის მეტაბოლიზმი და ჰორმონული ფუნქცია (ბიოქიმია); ადამიანის ორგანიზმის იმუნური ფუნქცია და მიკრობიოლოგია.</p> <p><u>კლინიკური მეცნიერებები:</u></p> <p>პათოლოგიური ფიზიოლოგია; მოზრდილი ადამიანის თერაპიული და ქირურგიული</p>	<p>მინიმალური სტანდარტი ლექცია (ინტერაქტიული) CBL, ექთნისა და პაციენტის როლების შესრულება. ლაბორატორიული მუშაობა.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები: PBL, TBL, CBCR, „შებრუნებული საკლასო ოთახი, სწავლება „პაციენტის საწოლთან“.</p>	<p>მინიმალური სტანდარტი ზეპირი/წერიითი გამოცდა, ერთი და/ან მრავალპასუხიანი ტესტები.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები: OSPE „გადამლილი წიგნის“ მეთოდის გამოყენება.</p>



		<p>დაავადებების ეტიოლოგია, პათოგენეზი, ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ზოგადი საფუძვლები, სამეანო მოვლის თეორიული საფუძვლები; ბავშვთა ასაკის თერაპიული და ქირურგიული დაავადებების ეტიოლოგია, პათოგენეზი, ეპიდემიოლოგია, კლინიკა, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ზოგადი საფუძვლები, სამეანო მოვლის თეორიული საფუძვლები;</p> <p>კრიტიკული მდგომარეობების საექთნო მართვის პრინციპები; მეან -გინეკოლოგია და ნეონატოლოგია; ფსიქიატრია; ფარმაცოლოგიის ფუნდამენტური პრინციპების და ძირითადი ფარმაცოლოგიური ჯგუფების ცოდნა; მედიკამენტების დოზის გამოთვლის წესები. ნარჩენების უტილიზაციის წესები.</p> <p><u>ქცევითი და სოციალური მეცნიერებები:</u></p>		
--	--	---	--	--



		<p>მეან-ექთნის საქმიანობის რაობა, ისტორია, მეან-ექთნების უფლება-მოვალეობები, კარიერული და პროფესიული ზრდის გზები;</p> <p>საექთნო-სამეანო პროცესის ყველა ფაზის მნიშვნელობა და განხორციელების წესები; სამეანო საქმის თეორიული საფუძვლები; ჯანსაღი ცხოვრების წესი, დიეტა და კვება, ჯანმრთელობის ხელშეწყობა; ბიოეთიკა; მეანი ექთნის კოდექსი; მედიცინასთან (მათ შორის საექთნო/სამეანო საქმესთან) დაკავშირებული კანონმდებლობა; სამეანო საქმის ლიდერობა და მართვის (მენეჯმენტის) პრინციპები; სწავლების პრინციპები; ფსიქოლოგია; სოციოლოგია; კვლევის პრინციპები; ადამიანის განვითარება (ბავშვი, მოზარდი, ზრდასრული, ხანდაზმული); დაავადებების პრევენცია, სკრინინგი და ზედამხედველობა; გენდერული საკითხები ჯანდაცვაში; ეპიდემიოლოგია, კულტურული თავისებურების და</p>		
--	--	--	--	--



		ეთიკური ფაქტორების ზეგავლენა ქალის, ოჯახისა და საზოგადოების ჯანმრთელობაზე; ჯანდაცვის ეკონომიკა, გლობალური ჯანმრთელობასა და სოციალურ უთანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები.		
2.	სამეანო საქმის უნარ-ჩვევები	<ul style="list-style-type: none"> • განაყოფიერების; ზიგოტის განვითარება/დაყოფის; ემბრიონის/ნაყოფის განვითარების; პროვიზორული ორგანოების განვითარების. დედის ორგანიზმში მიმდინარე პროცესების ცოდნა. • შობადობის რეგულაციისა და ოჯახის დაგეგმვის პრინციპების ცოდნა; • ტერატოლოგიისა და ნაყოფის თანდაყოლილი ანომალიების საფუძვლებისა და პრენატალური დიაგნოსტიკის მეთოდების ცოდნა; • გოგონას პრე და პოსტნატალური განვითარების პერიოდების ცოდნა და მართვა; • გინეკოლოგიური პაციენტის გამოკვლევისა და სპეციალური 	<p>მინიმალური სტანდარტი ქალთან კომუნიკაციის სწავლება, სწავლება „პაციენტის საწოლთან“ , CBL, ექთნისა და პაციენტის როლების შესრულება; სწავლება შესაბამისი სიმულატორების გამოყენებით; ლაბორატორიული მუშაობა.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები პორტფოლიოს წარმოება, TBL; „შებრუნებული საკლასო ოთახი“; PBL; CBCR; სწავლება ვირტუალური სიმულაციის გამოყენებით.</p>	<p>მინიმალური სტანდარტი OSCE (სტანდარტიზებული/სიმუ - ლირებული პაციენტი); გამოცდა ტესტების გამოყენებით, როლური თამაში.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები პორტფოლიო; WPBA, რომელიც მოიცავს შემდეგ შეფასებებს: 360° შეფასება; MiniCex -მინიკლინიკური</p>



		<p>სამეანო გასინჯვის მეთოდების ცოდნა.</p> <ul style="list-style-type: none">• უნაყოფობა;• სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების და TORCH ინფექციების შესახებ ცოდნა;• ანტენატალური მოვლა: ორსულობის განმავლობაში კომპლექსური შეფასებების, სკრინინგისა და ჯანდაცვის განათლების უზრუნველყოფა.• ინტრანატალური მოვლა: ფიზიოლოგიური მშობიარობის პერიოდების ცოდნა და მართვა; ფიზიოლოგიური მშობიარობის ხელშეწყობა და გართულებების ამოცნობა.• პოსტნატალური მოვლა: დედისა და ახალშობილის ჯანმრთელობის შეფასება, ლოგინობის ხანის მართვა, ძუძუთი კვების ხელშეწყობა და ემოციური მხარდაჭერა.• მშობიარობის შემდგომი კონტრაქცია		სავარჯიშოს შეფასება; CBD; DOPS.
--	--	---	--	---------------------------------



<p>3.</p>	<p>მეანი ექთნის პრაქტიკული და კლინიკური უნარ-ჩვევების გამოყენება</p>	<ul style="list-style-type: none"> ქალის/ორსულის სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა და მონიტორინგი პაციენტზე: პულსი, სუნთქვა, ტემპერატურა, არტერიული წნევის გაზომვა, სატურაცია; პერიფერიული ვენეპუნქცია (სიმულატორზე); პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია (სიმულატორზე); სამკურნალო საშუალებების ვენაში შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება (სიმულატორზე); ინექციის გაკეთება კანქვეშ და კუნთში (სიმულატორზე); ოქსიგენოთერაპია (პაციენტზე); პაციენტების ტრანსპორტირება და მათთან მოპყრობა (სიმულატორი/სიმულირებული პაციენტი); ჭრილობის დამუშავება და ნახვევის დადება (სიმულირებული პაციენტი); ჭრილობის ნაკერის მოხსნა (სიმულატორზე); 	<p>მინიმალური სტანდარტი სწავლება სიმულატორების გამოყენებით, პრაქტიკა ამბულატორიულ და ჰოსპიტალიზებულ ქალებთან, პაციენტის საწოლთან სწავლება.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები: CBL; PBL;</p> <p>შენიშვნა: პრაქტიკული უნარების ათვისება ხდება კლინიკური უნარ-ჩვევების სწავლების სიმულაციურ ცენტრსა ან შესაბამისად აღჭურვილ კლინიკურ გარემოში.</p>	<p>მინიმალური სტანდარტი OSCE</p> <p>შენიშვნა: ზოგიერთი პროცედურის (მაგ., არტერიული წნევის გაზომვა, ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა) ჩატარება/შესრულება ყველა კურსდამთავრებულმა უნდა შეძლოს (მისაღწევი ნიშნული 100% შეადგენს).</p> <p>რეკომენდებული მეთოდები: WPBA, DOPS, OSPE, MiniCex.</p>
-----------	--	---	--	---



	<ul style="list-style-type: none">• შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (სიმულატორზე);• ელექტროკარდიოგრამის გადაღება (სიმულატორზე/პაციენტზე);• სასუნთქი სისტემის ფუნქციური ტესტების ჩატარება (სიმულატორზე, პაციენტზე);• საინჰალაციო მედიკამენტების გამოყენება (სიმულატორზე, პაციენტზე);• ხელების დაბანა;• ნაცხის აღება (სიმულატორზე);• ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (ხელთათმანები, კომბინეზონი, სათვალე, ფარი, ნიღაბი, რესპირატორი, ბახილები, ჩაჩი) გამოყენება და უტილიზაცია;• ნაზო -გასტრალური ზონდირება (სიმულატორზე);• დრენაჟებისა და სტომის მოვლა (სიმულატორზე);• ტრაქეის სანაცია (სიმულატორზე);• მედიკამენტების უსაფრთხოდ ადმინისტრირება;		
--	---	--	--



	<ul style="list-style-type: none">• მედიკამენტის დოზის კალკულაცია;• ქალის ძირეული მოვლა;• ასეპტიკა -ანტისეპტიკის წესების დაცვა.• ორსულის, მელოგინის, ნაყოფისა და ახალშობილის შეფასება/მონიტორინგი (სიმულატორზე, ქალზე, ახალშობილზე);• ნაყოფის განვითარების პათოლოგიის ნიშნების ამოცნობა (ნაყოფზე/სიმულატორზე). <p>შენიშვნა: აღნიშნული მანიპულაციების განხორციელება კლინიკური სწავლების ეტაპზე, მეთვალყურეობის ქვეშ, შესაძლებელი უნდა იყოს პაციენტის/პაციენტის წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობის მოპოვების საფუძველზე, მისი სწავლების ობიექტად გამოყენებისათვის</p>		
--	---	--	--



4.	ტრანსფერული უნარები	<ul style="list-style-type: none"> • დასაბუთებული გადაწყვეტილების მისაღებად, სხვადასხვა აკადემიური წყაროდან ინფორმაციისა და მონაცემების მოძიება, ანალიზი, ინტერპრეტაცია და სინთეზი; • პრობლემების იდენტიფიცირების, დასმისა და გადაწყვეტის უნარი; • საინფორმაციო ტექნოლოგიებს გამოყენება მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვების, გაზომვის, ჩაწერის, ამოღებისა და ანალიზისათვის; • მოძიებული წყაროებისა და მონაცემების კრიტიკული ანალიზი, შესაბამისი დასკვნების ჩამოყალიბება და მათი პრაქტიკაში გამოყენება პრობლემის გადასაჭრელად; • აკადემიური ნაშრომის შემუშავება და მისი პრეზენტირება სფეროს სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან; 	<p>მინიმალური სტანდარტი: ინტერაქტიული ლექცია, სამედიცინო დაწესებულებებში ამბულატორიული და სტაციონარული დოკუმენტაციის, ელექტრონული ისტორიების გამოყენების სწავლება.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები: „შებრუნებული საკლასო ოთახი“, სწავლება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.</p>	<p>მინიმალური სტანდარტი: ზეპირი ან/და წერიტი გამოცდა; პრეზენტაცია; მცირე მოცულობის კვლევითი ნაშრომი, რეფერატი.</p>
5.	ქალის/ოჯახის/საზოგადოების განათლება-სწავლება	<ul style="list-style-type: none"> • ქალის და/ან მისი თანხმლები პირისთვის სწავლება, 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p>	<p>მინიმალური სტანდარტი</p>



		<p>განმარტებებისა და რჩევების მიცემა;</p> <ul style="list-style-type: none"> • სექსუალური განათლება, ოჯახის დაგეგმვა, მშობელთა სკოლა ორსულებისთვის ვაქცინაცია, სკრინინგი; ორსულის/ქალის კვება; ჩვილის კვება; ჯანსაღი ცხოვრების წესი; მშობიარობა და მშობიარობის შემდგომი რეაბილიტაცია; ახალშობილის მოვლა. 	<p>ინტერაქტიული ლექცია, CBL; როლური „თამაშები“ (სტუდენტები ექიმისა და პაციენტის როლში).</p> <p>რეკომენდებული მეთოდები შებრუნებული საკლასო ოთახი; CBCR; TBL.</p>	<p>წერიტი და ზეპირი გამოკითხვა; შემთხვევის ანალიზი.</p>
6.	<p>დახმარების გაწევა გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს (პირველადი დახმარება) სახელმძღვანელო პრინციპების (გაიდლაინების) შესაბამისად;</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა; • ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; • ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური (BLS) სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება; • ტრავმის დროს გადაუდებელი დახმარება; • პირველადი გადაუდებელი დახმარება ანაფილაქსიური შოკის დროს. 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>სწავლება პაციენტის საწოლთან, ინტერაქტიული ლექცია, მანეკენების/სიმულატორების გამოყენება, ან სიმულირებული პაციენტი .</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>OSCE</p> <p>რეკომენდებული მეთოდები: WPBA; Mini-Cex; CBD.</p>



		<ul style="list-style-type: none"> პირველადი გადაუდებელი დახმარება სისხლდენების დროს. სიცოცხლისთვის საშიში რითმების ამოცნობა და პირველადი გადაუდებელი დახმარება - ლურჯი კოდი. სამეანო გადაუდებელ მდგომარეობათა ადრეული ამოცნობა, კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარების აღმოჩენა და რეფერალი; ნეონატოლოგიურ გადაუდებელ მდგომარეობათა ადრეული ამოცნობა, კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარების აღმოჩენა და რეფერალი; 		
7.	სამეანო პრაქტიკასა და კვლევაში სამეცნიერო პრინციპების, კვლევის მეთოდების გამოყენება;	<ul style="list-style-type: none"> სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის ცოდნა; კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა, მიღებული შედეგების ანალიზი და დასკვნების გამოტანა, 	<p>მინიმალური სტანდარტი: ინტერაქტიული ლექცია, სწავლება პაციენტის საწოლთან, როლური თამაშები.</p>	<p>მინიმალური სტანდარტი: OSCE, წერილი/ზეპირი გამოცდა</p> <p>რეკომენდებული მეთოდები:</p>



		<ul style="list-style-type: none"> • სამეცნიერო ლიტერატურის ინტერპრეტაციის უნარი და მისი გამოყენება პრაქტიკაში. • სტატისტიკისა და ბიოსტატისტიკის პრინციპების ცოდნა; • სამეცნიერო კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა. 	<p>რეკომენდებული მეთოდები: შებრუნებული საკლასო ოთახი, PBL, CBL, TBL CBD</p>	<p>WPBA, Mini – Cex.</p>
8.	<p>კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და თანამშრომლობის უნარები</p>	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული კომუნიკაციის უნარები: ქალთან და /ან მის თანხმლებ პირებთან კომუნიკაცია, კოლეგებთან, (ჯანდაცვის სფეროს პროფესიონალებთან) მულტიდისციპლინურ გუნდთან კომუნიკაცია; • კომუნიკაცია ნეგატიური ინფორმაციის შეტყობინებისას (კომპეტენციის ფარგლებში); • შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროებების მქონე პირებთან კომუნიკაცია; 	<p>მინიმალური სტანდარტი: ინტერაქტიული ლექცია, CBL, ექთან-პაციენტის როლების შესრულება, პაციენტის საწოლთან სწავლება.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები: „შებრუნებული საკლასო ოთახი,“ PBL, CBL, CBCR, TBL</p>	<p>მინიმალური სტანდარტი: OSCE, WPBA (შეფასება სამუშაო ადგილზე).</p> <p>რეკომენდებული მეთოდები: 360° შეფასება; MiniCex; CBD; პორტფოლიო/ Log-book.</p>



		<ul style="list-style-type: none"> • ინფორმირებული თანხმობის მისაღებად საჭირო კომუნიკაცია; • კონფლიქტურ სიტუაციებში კომუნიკაცია; • წერილობითი კომუნიკაცია (ზუსტი და დროული სამედიცინო/სამეანო-საექთნო ჩანაწერების და დოკუმენტაციის წარმოება); • კომუნიკაცია ყველა იმ ადამიანთან (ქალთან ან მის თანხმლებ პირთან) რომლებიც განსხვავებული სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეთნიკური და სხვა კუთვნილებისაა; • ქალის ან მისი თანხმლები პირების კონსულტირება კომპეტენციის ფარგლებში; • ტელეკომუნიკაციის ბაზისური ცნებებისა და პრინციპების ცოდნა; 		
9.	სამეანო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება	<ul style="list-style-type: none"> • სამეანო პრაქტიკაში მეან-ექთანთა საერთაშორისო კონფედერაციის საერთაშორისო ეთიკის 	მინიმალური სტანდარტი: ინტერაქტიული ლექცია,	მინიმალური სტანდარტი: წერილი/ზეპირი გამოცდა



		<p>სტანდარტებითა და ექთნებისა და მეან-ექთნების ეროვნული ეთიკის კოდექსით ხელმძღვანელობა;</p> <ul style="list-style-type: none"> • კონფიდენციალურობის პრინციპების დაცვა; • პრივატული გარემოს შექმნა; • ქალების ავტონომიის დაცვა; • ქალის კანონიერი უფლების პატივისცემა, ორსულობის შეწყვეტაზე, მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად; • ქალთან პატივისცემით მოპყრობა და ობიექტური კომუნიკაცია; • ქალის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა; • სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები (სქესობრივი განათლება, ოჯახის დაგეგმვა, კონტრაცეფცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების პრევენცია და მკურნალობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა; 	<p>სწავლება პაციენტის საწოლთან;</p> <p>როლური თამაშები</p> <p>რეკომენდებული მეთოდები:</p> <p>შებრუნებული საკლასო ოთახი, PBL, CBL , TBL, CBD.</p>	<p>რეკომენდებული მეთოდები:</p> <p>WPBA, Mini – Cex.</p>
--	--	--	---	--



		<ul style="list-style-type: none"> ინფორმირებული თანხმობის მიღება კომპეტენციის ფარგლებში და სათანადო ჩანაწერის გაკეთება; სამეანო პრაქტიკაში ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვა; სამეანო საქმიანობის წარმართვა მულტიკულტურულ საზოგადოებაში; კულტურულად უსაფრთხო მოვლის უზრუნველყოფა სხვადასხვა წარმომავლობისა და რწმენის მქონე ადამიანებისთვის. 		
10.	მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკა და კრიტიკული აზროვნება	<ul style="list-style-type: none"> კლინიკურ, პედაგოგიურ და კვლევით პრაქტიკაში სამეცნიერო მიღწევების გამოყენება; კლინიკური მსჯელობა: გადაწყვეტილებების მიღება კლინიკურ გაიდლაინებზე, პროტოკოლებზე და ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაყრდნობით; ხარისხის გაუმჯობესება: აუდიტებში, შეფასებებსა და 	<p>მინიმალური სტანდარტი: ინტერაქტიული ლექცია, სწავლება პაციენტის საწოლთან, როლური თამაშები.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები: შებრუნებული საკლასო ოთახი, PBL, CBL, TBL ,CBD.</p>	<p>მინიმალური სტანდარტი: OSCE, წერიტი/ზეპირი გამოცდა</p> <p>რეკომენდებული მეთოდები WPBA, Mini – Cex.</p>



		<p>მოვლის შედეგების ანალიზში მონაწილეობა;</p> <ul style="list-style-type: none"> • სამეანო პრობლემების შესაფასებლად მტკიცებულებაზე დაფუძნებულ პრაქტიკისა და კლინიკური აზროვნების, სისტემური მიდგომების გამოყენება; • კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა ჯანდაცვის შესაბამის დონეზე ქალის მხარდამჭერი ინოვაციების დანერგვაში. 		
11.	საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებებში ჩართულობა	<ul style="list-style-type: none"> • გადამდები და არაგადამდები დაავადებების პრევენციის ღონისძიებებში მონაწილეობა; • საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებაში მათი შეფასება; • ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა; • ბინაზე ჯანდაცვითი სერვისების მიწოდებისას ოჯახისა და გარემოს ყოვლისმომცველი შეფასება; 	<p>მინიმალური სტანდარტი</p> <p>ლექცია, CBL.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები</p> <p>შებრუნებული საკლასო ოთახი; სემინარები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), კლინიკურ</p>	<p>მინიმალური სტანდარტი</p> <p>გამოცდა - ზეპირი/წერიითი პრეზენტაციები.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები</p> <p>პორტფოლიო/ Log-book (საზოგადოებრივი</p>



		<ul style="list-style-type: none"> • ჯანდაცვის სისტემებისა და დედათა-შვილთა ჯანმრთელობის პოლიტიკების გაგება. • პრევენციული ზრუნვა: კვების, ჰიგიენისა და ვაქცინაციის ხელშეწყობა. • მდგრადობა: ჯანმრთელობაზე გარემოსა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების გავლენის გაცნობიერება. 	შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება, „ჯანმრთელობის თვითშეფასების მეთოდები“.	ჯანდაცვის ხელშეწყობ ღონისძიებებში მონაწილეობა).
12.	სამეანო ლიდერობა და მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> • პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში ლიდერობა; • ფუნქციების დელეგირება შესაბამისი წესების დაცვით; • სამეანო პროცესის მართვა; • მულტიდისციპლინური გუნდის კოორდინირება კომპეტენციის ფარგლებში; • წინასწარ განსაზღვრული მითითებების საფუძველზე მცირე პროექტების შემუშავება; • წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორებით აუდიტებში, შეფასებებსა და მოვლის 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>ინტერაქციული ლექცია, როლური თამაშები; მენტორობა და უკუკავშირი.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები:</p> <p>PBL, CBL, CBCR, TBL, ინტერპროფესიულ ჯგუფში სწავლება.</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>წერიტი/ზეპირი გამოცდა; პრეზენტაცია.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები:</p> <p>360° შეფასება; პორტფოლიო/Log-book.</p>



		შედეგების ანალიზში მონაწილეობა.		
13.	პროფესიონალიზმი (ღირებულებები, ქცევა, დამოკიდებულება)	<ul style="list-style-type: none"> • საკუთარი და გუნდის წევრთა პროფესიული განვითარების სტრატეგიების განსაზღვრა და განხორციელების ხელშეწყობა; • საკუთარ უწყვეტი პროფესიულ განვითარებასა და განათლებაზე პასუხისმგებლობის აღება; • ქალის ღირსებისა და სამედიცინო პერსონალის უფლებების დაცვა/ადვოკატირება; • საქმიანობის განხორციელება პასუხისმგებლიანი და ანგარიშვალდებულებითი მიდგომით; • საკუთარი/სხვისი საქმიანობის ობიექტურად შეფასების უნარი; • განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასება და პატივისცემა. • რთულ ეთიკურ სიტუაციებში გადაწყვეტილებების მიღება 	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>პაციენტის საწოლთან სწავლება, როლური თამაშები; მენტორობა და უკუკავშირი.</p> <p>რეკომენდებული მეთოდები:</p> <p>PBL, CBL, CBCR, TBL, ინტერპროფესიულ ჯგუფში სწავლება.</p>	<p>მინიმალური სტანდარტი:</p> <p>წერთი/ზეპირი გამოცდა; OSCE. რეკომენდებული მეთოდები პორტფოლიო WPBA, 360° შეფასება.</p>



		პროფესიული ჩარჩოების ფარგლებში.		
--	--	------------------------------------	--	--

3.2 სამეანო საქმის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

კომპეტენციის დასახელება	კომპეტენციის აღწერა	კომპეტენციის მიღწევის მეთოდები	კომპეტენციის შეფასების მეთოდები
1. მეან-ექთანთა კლინიკურ პრაქტიკასა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული მოვლა	<ul style="list-style-type: none"> • ანალიზებს მეან-ექთნების პრაქტიკას უახლესი სამეცნიერო მტკიცებულებების საფუძველზე; • იყენებს კვლევის შედეგებს პაციენტზე ორიენტირებული მოვლის დაგეგმვისა და განხორციელებისთვის; • აფასებს კლინიკურ შედეგებს და იღებს გადაწყვეტილებებს სამეანო სერვისის გაუმჯობესებისთვის, პაციენტის უსაფრთხოებისა და სერვისის ხარისხის უზრუნველსაყოფად. 	<p>ლექციები, პრაქტიკული სიმულაციები, კლინიკური პრაქტიკა სამედიცინო დაწესებულებებში, მენტორის ხელმძღვანელობა; გუნდური მუშაობა.</p>	<p>პრაქტიკული გამოცდები, კლინიკური შედეგების შეფასება, შემთხვევის ანალიზის პრეზენტაცია, დაკვირვება პრაქტიკის დროს.</p>



	გამოავლენს მტკიცებულებებსა და პრაქტიკას შორის არსებულ ხარვეზებს და მულტიდისციპლინურ გუნდთან ერთად მონაწილეობს პოტენციური გადაწყვეტის გზების დასახვაში.		
2. კვლევა და ინოვაცია მუხ-ეკონის პრაქტიკულ საქმიანობაში	<ul style="list-style-type: none"> • პრაქტიკული საჭიროებების მიხედვით განსაზღვრავს საკვლევ საკითხებსა და კითხვებს. • მონაცემების შესაგროვებლად და გასაანალიზებლად იყენებს სფეროში აპრობირებულ ან/და უახლეს კვლევის მეთოდებს; • აფასებს განხორციელებულ კვლევებს მაღალი ხარისხის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის უზრუნველსაყოფად, ცვლილებების ინიცირებისა და მუხობის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. 	<p>ლექციები, კვლევითი პროექტები, ლიტერატურის მიმოხილვა, ჯგუფური დისკუსიები; ხელმძღვანელის/მენტორის უკუკავშირი.</p>	<p>კვლევითი ნაშრომი/სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი; წერილობითი ანგარიში, ინდივიდუალური შეფასება ლექტორის/ხელმძღვანელის მიერ, შემთხვევების ანალიზი; პრეზენტაცია.</p>
3. ჯანდაცვის პოლიტიკა და სოციალური სამართლიანობა	<ul style="list-style-type: none"> • კვლევასა და კლინიკურ მსჯელობაზე დაფუძნებულ მეცნიერულ პრინციპებს იყენებს ქალების, ორსულთა, დედათა და ახალშობილთა მოვლის ხარისხისა 	<p>ლექციები, პოლიტიკის ანალიზი, სემინარები, სოციალური და საზოგადოებრივი პრაქტიკული პროექტები ჯგუფური მუშაობა.</p>	<p>პოლიტიკის ანალიზის ანგარიში, ჯანდაცვის პროექტის/პროექტების განხორციელების შეფასება,</p>



	<p>და უსაფრთხოების შეფასებისათვის;</p> <ul style="list-style-type: none"> • ანალიზებს ჯანდაცვის პოლიტიკის შემუშავების პროცესზე გავლენის მქონე ფაქტორებს და კლინიკურ პრაქტიკაზე ჯანდაცვის პოლიტიკის გავლენას; • აფასებს ჯანდაცვის დაფინანსების სისტემას სამედიცინო პრაქტიკის მართვაში და რესურსების რელევანტურად და ოპტიმალურად გამოყენებას. 		
<p>4. ლიდერობა და მენეჯმენტი ჯანდაცვის სისტემაში</p>	<ul style="list-style-type: none"> • ხელმძღვანელობს მულტიდისციპლინურ გუნდს; • ეფექტურად მართავს რესურსებს; აყალიბებს სტრატეგიებს ხარისხისა და მდგრადობის გასაუმჯობესებლად; • აფასებს გუნდის მუშაობას და წარმოადგენს ცვლილების ინიციატივებს. 	<p>სიმულაციები, შემთხვევის შესწავლა, გუნდში მუშაობა, ჯგუფური დავალების შესრულება, პრაქტიკული პროექტები ჯანდაცვის დაწესებულებებში.</p>	<p>პროექტის შესრულების შეფასება, გუნდური მუშაობის ანალიზი, სტრატეგიული გეგმის შემუშავება, თვითშეფასება.</p>
<p>5. სამედიცინო სერვისების ხარისხის და</p>	<ul style="list-style-type: none"> • ანალიზებს ქალის/ახალშობილის მოვლის სტანდარტებსა და პრაქტიკას და აიდენტიფიცირებს რისკებს; 	<p>კლინიკური პრაქტიკა, პრაქტიკული სავარჯიშოები,</p>	<p>ხარისხის მონიტორინგის ანგარიშის წარდგენა, სტანდარტებთან</p>



<p>უსაფრთხოების უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ეყრდნობა მეცნიერულ პრინციპებს უსაფრთხოებისა და ეფექტურობის ასამაღლებლად; • განსაზღვრავს სამედიცინო სერვისის ხარისხის ინდიკატორებს და აფასებს მას მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტანდარტების შესაბამისად. 	<p>ხარისხის აუდიტის სიმულაცია, მონაცემთა ანალიზი; შემთხვევის ანალიზი.</p>	<p>შესაბამისობის შეფასება, კოლეგების უკუკავშირი.</p>
<p>6. ინტერ და ინტრაპროფესიული კომუნიკაცია და თანამშრომლობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • თანამშრომლობის სხვადასხვა პროფილის მედიცინის სფეროს მუშაკთან; • იყენებს ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიებს; • პრაქტიკაში იყენებს კონფლიქტების პრევენციისა და აღმოფხვრის სტრატეგიებს; • ხელს უწყობს გუნდურ გადაწყვეტილების მიღებას და თანამშრომლობის კულტურის განვითარებას. 	<p>როლური თამაშები, გუნდური პროექტები, სიმულაციები, კლინიკური შემთხვევის ანალიზი</p>	<p>კომუნიკაციის უნარების დემონსტრირება, გუნდური მუშაობის ანალიზი, უკუკავშირი კოლეგებისგან. OSCE; PBL; CBD.</p>
<p>7. ციფრული კომპეტენციები და ინფორმატიკა</p>	<ul style="list-style-type: none"> • იყენებს ჯანდაცვის ინფორმაციულ სისტემებსა და ციფრულ ტექნოლოგიებს ქალისა და ახალშობილების მოვლის ხარისხისა და უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად; 	<p>პროექტის შესრულება ჯანდაცვის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, EMR სიმულაციები, მონაცემთა ანალიზის დავალებები.</p>	<p>ტექნოლოგიური ამოცანის შესრულება, ინფორმაციული სისტემების გამოყენების შეფასება, შემთხვევის პრეზენტაცია.</p>



	<ul style="list-style-type: none"> • ანალიზებს მონაცემებს გადაწყვეტილების მისაღებად და იცავს მონაცემთა კონფიდენციალურობას. 		
<p>8. პროფესიული იდენტობა და ეთიკა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ავლენს პროფესიულ პასუხისმგებლობას და ეთიკურ ქცევას; • იცავს პაციენტის უფლებებსა და ღირსებას; • იყენებს კულტურულად სენსიტიურ მიდგომებს; • პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებს მეან-ექთნის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობასა და ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებით. 	<p>როლური თამაშები, ჯგუფური დისკუსიები, სემინარები, შემთხვევის ანალიზი.</p>	<p>ეთიკური სიტუაციების ანალიზი, კომუნიკაციის უნარების დემონსტრირება, თვითშეფასება; PBL; CBD.</p>
<p>9. პიროვნული და პროფესიული მდგრადობა</p>	<ul style="list-style-type: none"> • თვითრეფლექსიის საფუძველზე აფასებს საკუთარ პროფესიულ და ემოციურ კეთილდღეობას; • იყენებს სტრატეგიებს სტრესის მართვისა და სამეანო მიმართულებით პროფესიული განვითარებისათვის; • ივითარებს დამოუკიდებლად სწავლის უნარს. 	<p>თვითრეფლექსია; ჯგუფური რეფლექსია; ურთიერთშეფასება;</p>	<p>თვითრეფლექსიის ესე, ჯგუფური უკუკავშირი, პორტფოლიო; პროფესიული განვითარების გეგმა.</p>



	<ul style="list-style-type: none"> • გეგმავს საკუთარ და გუნდის წევრთა აკადემიურ და კარიერულ განვითარებას. 		
<p>10. საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და მოსახლეობაზე ორიენტირებული მიდგომა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ანალიზებს მოსახლეობის ქალის/დედათა, ბავშვთა და ოჯახების საჭიროებებს; • გეგმავს და მონაწილეობს საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამებში რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით; • აფასებს საზოგადოებრივი პროგრამების ეფექტურობას რეპროდუქციული ჯანმრთელობის, თანასწორობისა და კეთილდღეობის გაძლიერების მიზნით. 	<p>კამპანიების დაგეგმვა, ფოკუს ჯგუფების განხორციელება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ანალიზი; დისკუსია; შემთხვევის ანალიზი; კლინიკური პრაქტიკა.</p>	<p>ჯანდაცვის პროექტის შეფასება, ჯანდაცვის პროგრამების შედეგების ანალიზი, ზეპირი ან წერილობითი ანგარიში.</p>



IV. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

საერთაშორისო სივრცეში სამეანო საქმის მიმართულებით საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გავრცელებული ტიპური კვალიფიკაციაა მეცნიერების ბაკალავრი/მაგისტრი: მეცნიერების ბაკალავრი სამეანო საქმეში B.Sc in Midwifery; მეცნიერების მაგისტრი სამეანო საქმეში M.Sc. in Midwifery.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად სამეანო საქმის რეგულირებადი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ენიჭება შემდეგი კვალიფიკაციები:

- **ბაკალავრიატი:** სამეანო საქმის ბაკალავრი Bachelor of Midwifery.
- **მაგისტრატურა:** სამეანო საქმის მაგისტრი Master of Midwifery.

V. სწავლება, სწავლა და შეფასება

სამეანო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის გეგმა/სილაბუსი/მოდული უნდა ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს სწავლების საფეხურს, კონკრეტული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს.

5.1 სწავლისა და სწავლების მეთოდები

სწავლებისა და სწავლისთვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ქვემოთ ჩამოთვლილთაგან შერჩეული ან სხვა მეთოდები:

- ლექცია-სემინარი;
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- დემონსტრირების მეთოდი;
- ინტერაქტიული ლექციები;



- ინტერაქტიული სწავლების მეთოდები;
- გონებრივი იერიში;
- მედიცინის სფეროში სამეცნიერო-ტექნოლოგიური სიახლეების განხილვა;
- მტკიცებულებაზე დაფუძნებული სწავლება;
- ლაბორატორიული სწავლება;
- კლინიკური პრაქტიკა;
- გაიდლაინებისა და პროტოკოლების, მათ შორის მათი შემუშავების საფუძვლების განხილვა;
- პრაქტიკული მუშაობა;
- გუნდური მუშაობა;
- კრიტიკული ანალიზი;
- პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სავარჯიშოების შესრულება;
- აკადემიური წყაროებისა და სამედიცინო შემთხვევების მოძიება და ანალიზი;
- ლიტერატურის მიმოხილვა;
- წიგნზე მუშაობა;
- ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წერიტი მუშაობის მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- სიმულაცია/ სიმულაციური სწავლება;
- როლური თამაშები;
- სწავლება/სწავლა კეთებით;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

გარდა, ზემოაღნიშნული ტრადიციული მეთოდებისა, დამატებით, მიზანშეწონილია სწავლისა და სწავლების დარგისთვის აქტუალური შემდეგი მეთოდების გამოყენება:

- **პრობლემაზე და კლინიკური შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული სწავლება (PBL- Problem-Based Learning და CBL-Case-Based Learning).** კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება ამ მეთოდების გამოყენება მნიშვნელოვანია კლინიკური აზროვნების განვითარებისთვის. ზემოაღნიშნული მეთოდები სტუდენტს ეხმარება გამოიყენოს მის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნა კონკრეტული კლინიკური პრობლემის დამოუკიდებლად გადასაჭრელად, ასევე გამოიმუშაოს გუნდური მუშაობის უნარი, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია მეანი-ექთნის საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის.
- **პაციენტის საწოლთან სწავლება (BT - Bedside Teaching)** - კლინიკური სწავლების მეთოდი, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს შეიძინოს (განიმტკიცოს) ანამნეზის შეკრებისა და პაციენტის დათვალიერების უნარები. პროფესიულ დამოკიდებულებასთან ერთად, სწავლების ეს მეთოდი აერთიანებს დიაგნოსტიკურ პროცესს და ქალის (ორსულის/მშობიარის/მელოგინის)



მოვლას შეიცავს რა, განსაზღვრულ კლინიკურ, დიაგნოსტიკურ, საკომუნიკაციო, ეთიკურ უნარებსა და პროფესიულ აზროვნებას.

- გადაშლილი წიგნის/წიგნში ჩახედვის მეთოდი** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტს ლიტერატურის, დამხმარე მასალის, ინტერნეტ-რესურსის გამოყენების უფლება აქვს. მეთოდი ემყარება სტუდენტის მიერ ინფორმაციის სინთეზს, ანალიზსა და გამოყენებას და არა მარტივად დამახსოვრების უნარს. მოწმდება ისეთი უნარები, როგორცაა: ცოდნის გამოყენება, შეფასება/ანალიზი და კრიტიკული აზროვნება. მნიშვნელოვანია, რომ ამ მეთოდის გამოყენებისას საგამოცდო მასალა იყოს კონცეპტუალური, უხვი, მრავალფეროვანი და სტუდენტის ანალიზის უნარზე ორიენტირებული, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მათ მიერ საგანმანათლებლო ლიტერატურის მარტივად გამოყენების შესაძლებლობას.
- შებრუნებული საკლასო ოთახი (FC-Flipped Classroom)** ამ მეთოდით სწავლებისას სტუდენტებს წინასწარ აწვდიან თემატურ მასალას, რომლის ინტერაქტიული განხილვა უკვე მომზადებულ სტუდენტებთან სემინარზე (მეცადინეობაზე) ხდება. სწავლების ეს მეთოდი ეფექტურია დისტანციური სწავლების ონლაინ პლატფორმისთვისაც.
- „ჯგუფური სწავლება“ (TBL-Team Based Learning).** ამ მეთოდის გამოყენების დროს, ისევე, როგორც „შებრუნებული კლასის“ შემთხვევაში, სტუდენტებს წინასწარ აწვდიან სადისკუსიო მასალის თემატიკას. მეცადინეობებზე სტუდენტები იყოფიან 5-6 კაციან ჯგუფებად და დამოუკიდებლად მსჯელობენ პრობლემაზე. ცოდნა ფასდება როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად, პრე და პოსტ- ტესტების მეშვეობით. TBL-ის სხვადასხვა მოდიფიკაცია არსებობს და გამოიყენება სწავლების ყველა ეტაპზე.

“უნიშვნა: როგორც „შებრუნებული საკლასო ოთახის“, ისე „ჯგუფური სწავლების“ მეთოდების გამოყენებისას, მასწავლებელს პასიური, დამკვირვებლის როლი აკისრია, რომელიც თვალყურს ადევნებს სტუდენტთა მსჯელობას, აზროვნების დინამიკასა და პოლემიკის პროცესს. სტუდენტთა სწორედ ამ უნარების განვითარებისთვისაა მოწოდებული აღნიშნული მეთოდები.
- შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური მსჯელობა CBCR (Case-Based Clinical Reasoning)** - CBCR არის პროცესი, რომელიც პაციენტის/ქალის (ორსულის/მშობიარის/მელოგინის) შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და დაავადებების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით დასკვნების გაკეთებას, დიფერენციალურ დიაგნოსტიკასა და კომპეტენციის შესაბამისად მკურნალობის მიზნების შესაბამისი სტრატეგიების შემუშავებას ემსახურება. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას საკვანძო ელემენტია კლინიკური ინფორმაციის იდენტიფიცირება, მისი მნიშვნელობის ინტერპრეტირება, ჰიპოთეზების გენერირება, მათი გადამოწმება, დაზუსტება და დიაგნოზის დასმა კომპეტენციის შესაბამისად.



- **შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია - CBD (Case-based Discussion)** - აღნიშნული შეფასების მეთოდი, გულისხმობს ლექტორის მხრიდან სტუდენტისთვის კონკრეტული შემთხვევის წარდგენას, (ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების შედეგების ანალიზი და სინთეზი, დიფერენციალური დიაგნოზის გაკეთება, დიაგნოზის განსაზღვრა, კომპეტენციის შესაბამისად მკურნალობის გეგმის შემუშავება), რომელიც სტუდენტმა, დროის დათქმულ მონაკვეთში, უნდა გაანალიზოს ან ამოხსნას. შემთხვევის საშუალებით ლექტორი ამოწმებს სტუდენტის კლინიკური აზროვნების, დასკვნის გაკეთებისა და ამ პროცესის დოკუმენტირების უნარს, კომპლექსური საკითხის/პრობლემის გაცნობიერების და მისი გადაჭრისთვის ორიგინალური გზების ძიების უნარს, მათ შორის ასევე პროფესიულ-ეთიკურ ღირებულებებს და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს.
- სწავლისა და სწავლების პროცესში დასაშვებია ხელოვნური ინტელექტის (AI) სხვადასხვა ტიპის გამოყენება ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, პასუხისმგებლობითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

5.2. სწავლის შედეგების შეფასება

სამეანო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების თითოეული სასწავლო კურსის გეგმით/სილაბუსით/მოდულით გათვალისწინებული შეფასების ფორმები (შუალედური და დასკვნითი შეფასება) შესაძლოა მოიცავდეს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხებს: შეფასება მოიცავს თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების და პროფესიონალიზმის შეფასებას. შეფასების თანამედროვე მეთოდებიდან, გარდა ტრადიციული წერითი, ზეპირი, ტესტური და კომბინირებული გამოცდებისა, რეკომენდებულია:

- **ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა - Objective Structured Clinical Examination (OSCE)** - არის გამოცდის ფორმატი, რომელიც რეალობაზე დაფუძნებულ სიმულირებულ გარემოში ავლენს კომპეტენციის ფარგლებში სტუდენტის კლინიკურ უნარ-ჩვევებს, კომუნიკაციურ უნარებს, უზრუნველყოფს პაციენტების უსაფრთხოებას და ამისთვის იყენებს სტანდარტიზებულ შეფასებას. გამოცდა ტარდება სხვადასხვა კლინიკურ სადგურებში, რომლებიც ახდენს რეალური კლინიკური სიტუაციებისა და სცენარების მოდელირებას.
- **ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა - Objectively Structured Practical Exam (OSPE)** არის კონცეფცია ძირითადი სამედიცინო მეცნიერებების პრაქტიკული შეფასებისას, რომელიც გამოიყენება სამედიცინო ინტეგრირებულ პრობლემაზე დაფუძნებული



კურიკულუმის პრეკლინიკურ ეტაპზე სტუდენტების ანატომიის ცოდნისა და ლაბორატორიული უნარების შესაფასებლად. შექმნილია სადგურები და თითოეულ სადგურს აქვს კონკრეტული მიზანი, რომლის შეფასებასაც ახორციელებს. თითოეული კომპონენტის შეფასება სადგურებზე განისაზღვრება შეფასების ფორმის (checklist) მიხედვით. შეფასების ფორმა (checklist) შემუშავებულია უშუალოდ შესასრულებელი დავალების სპეციფიკის გათვალისწინებით.

- **შეფასება სამუშაო ადგილზე - Workplace based assessment (WPBA)** - არის რამდენიმე მეთოდის კომბინირებით შემუშავებული შეფასების მეთოდი, რომელიც გამოიყენება სტუდენტების პროფესიული თვისებების, უნარებისა და დამოკიდებულებების შეფასებისთვის. WPBA მეთოდის გამოყენებით სამედიცინო სფეროებში სტუდენტებს თავიანთი ცოდნის დადასტურება ყოველდღიური პასუხისმგებლობებისა და მოვალეობების შესრულების გზით შეუძლიათ. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით, ასევე უზრუნველყოფილია უკუკავშირის შესაძლებლობა სტუდენტის ძლიერი მხარეებისა და პოტენციური განვითარების საჭიროებების განსაზღვრისთვის.
- **პირდაპირი დაკვირვება პროცედურული უნარების დემონსტრირებაზე - Direct Observation for Procedural Skills (DOPS)** - შეფასების ინსტრუმენტია, რომელიც მომავალი მეანი-ექთნების მიერ პრაქტიკული პროცედურების განხორციელებისა და მათი მუშაობის შეფასებისთვის გამოიყენება. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას სტუდენტებს ეძლევათ მყისიერი უკუკავშირი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. აღნიშნული მეთოდი სტუდენტის ტექნიკური, ოპერაციული და პროფესიონალიზმის უნარების შესაფასებლად გამოიყენება ბაზისური დიაგნოსტიკური და ინტერვენციული პროცედურების ან ყოველდღიური პრაქტიკის შეფასებისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიღების მიზნით.
- **მეანი-ექთნის დღიურის წარმოება - (Log-book)** აღნიშნული მეთოდის მიზანია სამეანო საქმის სტუდენტებმა აწარმოონ ჩანაწერები თავიანთ სასწავლო გამოცდილებასთან და პრაქტიკასთან დაკავშირებით, რათა დაეუფლონ რეგისტრირებული მეანი-ექთნების საქმიანობისთვის შესაბამის ცოდნასა და უნარებს.
- **მინდობილი პროფესიული აქტივობები - Entrustable Professional Activities (EPAs)** ორიენტირებულია ყოველდღიური კლინიკური საქმიანობისას ხშირი, დროული, უკუკავშირზე ორიენტირებული და სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასების შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე. EPAs საშუალებას იძლევა ოპერატიულად განხორციელდეს სტუდენტის კომპეტენციებისა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შეფასება პაციენტის/ქალის (ორსულის/მშობიარის/მელოგინის) მოვლისა და მკურნალობის პროცესში და არსებითად ემსახურება თეორიული ცოდნის კლინიკურ საქმიანობაში გამოყენებისას გამოკვეთილი ხარვეზების აღმოფხვრასა და ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის დაახლოვებას.



- **მინი-კლინიკური საფარჯიშოს შეფასება - Mini Clinical Evaluation Exercise (Mini-CEX)** - შესანიშნავი მეთოდია კლინიკური დახმარების გაწევის უნარების შეფასებისა და უკუკავშირის გამარტივებისთვის. ის აფასებს სტუდენტის კლინიკურ და პროფესიულ უნარებს, კერძოდ, პაციენტთან კომუნიკაციისა და ანამნეზის შეკრების, ფიზიკური გამოკვლევის, კლინიკური მსჯელობისა და დასკვნების გამოტანის უნარებს და ასევე პროფესიონალიზმს. ზემოხსენებული უნარების შეფასება ხორციელდება სამედიცინო დაწესებულების შესაბამის დეპარტამენტებში.
- **პორტფოლიო (ე.წ. გახანგრძლივებული - გრძელვადიანი (4-წლიანი) შეფასება,)** რაც მოიცავს სტუდენტის მიერ განხორციელებული აქტივობებს (კონფერენციებში მონაწილეობა, პაციენტების გამოკვლევის და მკურნალობის პროცესში ჩართულობა, სოციალური აქტივობა, თვითანალიზი (self-reflection), პერსონალური განვითარების გეგმა (Personal Development Plan) და სხვ); შეფასება ეფუძნება დოკუმენტებს/მტკიცებულებებს, რომლებიც ასახავს სტუდენტის აქტივობას სწავლების პირველი წლიდან მეოთხე წლის ბოლომდე. პორტფოლიო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტის აკადემიური მოსწრების მიმდინარე და საბოლოო შეფასებაზე, ობიექტურად და დასაბუთებულად ასახავს სტუდენტის კლინიკური აზროვნების, პრაქტიკული უნარების, ზოგადი პროფესიული თვისებების განვითარების ძლიერ და სუსტ მხარეებს, ავლენს მის ნაკლოვანებებს და მათი გამოსწორების გზებს.
- **გადაშლილი წიგნის/წიგნში ჩახედვის მეთოდი** – ამ მეთოდით სწავლების დროს სტუდენტს ლიტერატურის, დამხმარე მასალის, ინტერნეტ-რესურსის გამოყენების უფლება აქვს. მეთოდი ემყარება სტუდენტის მიერ ინფორმაციის სინთეზის, ანალიზის და გამოყენების და არა, მარტივად დამახსოვრების უნარს. მოწმდება ისეთი უნარები, როგორიცაა: ცოდნის გამოყენება, შეფასება/ანალიზი და კრიტიკული აზროვნება. მნიშვნელოვანია, რომ ამ მეთოდის გამოყენებისას საგამოცდო მასალა იყოს კონცეპტუალური, უხვი, მრავალფეროვანი და ორიენტირებული სტუდენტის ანალიზის უნარზე, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მათ მიერ საგანმანათლებლო ლიტერატურის მარტივად გამოყენების შესაძლებლობას.
- *სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების პროცესში დასაშვებია ხელოვნური ინტელექტის (AI) სხვადასხვა ტიპის გამოყენება ეთიკური მოთხოვნების გათვალისწინებით, პასუხისმგებლობითა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.*

სამეცნიერო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება შესაძლებელია დამოუკიდებელი კურსების ან საგანმანათლებლო კურსებში ინტეგრირებული ფორმით.



VI. დამატებითი ინფორმაცია

ასპექტი	სპეციალური მოთხოვნები
<p>საბაზისო დისციპლინები</p>	<p>სწავლების საწყის ეტაპზე ფუნდამენტური დისციპლინების სწავლება ხორციელდება საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში და/ან აფილირებულ სასწავლო ან/და სამედიცინო დაწესებულებებში. დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკუთარი, შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია და/ან განახორციელოს აღნიშნული სასწავლო საქმიანობა აფილირებულ სასწავლო ან/და სამედიცინო დაწესებულებაში (ხელშეკრულების საფუძველზე).</p> <p>ორივე შემთხვევაში ლაბორატორია შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილ ბიო და შრომით უსაფრთხოების ნორმებთან. სასწავლო-კვლევით ლაბორატორიაში სასწავლო კურსის განმავლობაში სამუშაო სივრცე უნდა იყოს გათვლილი 10-15 სტუდენტზე 1 საკონტაქტო საათის ფარგლებში. უსაფრთხოების დადგენილი წესების დაცვით. უნდა არსებობდეს რესურსი და IT-ინფრასტრუქტურა სინქრონული და/ან ასინქრონული დისტანციური სამუშაო შეხვედრების ჩასატარებლად.</p>
<p>პრეკლინიკური დისციპლინები</p>	<p>სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე სწავლება ხორციელდება საუნივერსიტეტო/სასწავლო სივრცეში არსებულ სიმულაციურ ცენტრებში, მათ შორის აფილირებულ მულტი და მონოპროფილურ ამბულატორული და სტაციონარული სერვისის მომწოდებელ დაწესებულებებში (ხელშეკრულების საფუძველზე). აღნიშნული ცენტრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სასწავლო ფართით, კურიკულუმით განსაზღვრული შედეგებით (მანუალური უნარები/კლინიკური კომპეტენციები) გათვალისწინებული სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებისათვის აუცილებელი სიმულატორების და მანეკენების რეკომენდებული ჩამონათვალით</p>



	<p>(იხ. დანართი) არაუმეტეს 12 სტუდენტისა 1 საკონტაქტო საათის ფარგლებში.</p>
<p>კლინიკური დისციპლინები</p>	<p>კლინიკური საგნების სწავლება ხორციელდება საუნივერსიტეტო/სასწავლო სამედიცინო დაწესებულებებში – ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების მიმწოდებელ კლინიკებში. საუნივერსიტეტო და აფილირებული სასწავლო კლინიკები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სასწავლო ფართით. სტუდენტებისთვის კლინიკებიდან შესაძლებელი უნდა იყოს წვდომა სასწავლო რესურსებზე (ელექტრონული, წიგნადი).</p> <ul style="list-style-type: none"> • საუნივერსიტეტო და/ან აფილირებულ კლინიკაში საუნივერსიტეტო და აფილირებულ კლინიკასთან გაფორმებული, რეგულარულად განახლებადი ხელშეკრულება ან/და ხელშეკრულების დანართები დეტალურად უნდა აღწერდეს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, მათ შორის: • ერთი აკადემიური წლის ან/და სემესტრის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვადასხვა კლინიკურ დისციპლინებზე მისაღები სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობას; • კლინიკური სასწავლო კურსების/პრაქტიკის ჩამონათვალი, რომლებიც ტარდება კლინიკაში და მათი ხანგრძლივობა; • ინფორმაციას კლინიკური მოდულების განმახორციელებელ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება/ებ-ზე, აგრეთვე, ცხრილს/გრაფიკს კონკრეტული სასწავლო კურსის განმავლობაში დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში სტუდენტების კონკრეტული რაოდენობის მიღების შესაძლებლობის შესახებ; • (ხელშეკრულების საფუძველზე), პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობა სასწავლო კურსის/კურაციის გავლის პერიოდში უნდა შეადგენდეს:



	<ul style="list-style-type: none"> ▪ თერაპიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 (ამბულატორიულ/სტაციონარულ) პაციენტზე არაუმეტეს 8 სტუდენტის; ▪ ქირურგიული პროფილის დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 5 სტუდენტის; ▪ მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 5 სტუდენტის; ▪ პედიატრიის დეპარტამენტში - 1 (ამბულატორიულ/სტაციონარულ) პაციენტზე არაუმეტეს 8 სტუდენტის; ▪ ანესთეზიოლოგიის/რეანიმაციის (ინტენსიური თერაპიის) დეპარტამენტებში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 4 სტუდენტის; ▪ გადაუდებელი მედიცინის დეპარტამენტში - 1 პაციენტზე არაუმეტეს 4 სტუდენტის. <p>უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა გააჩნდეს საკუთარი, სათანადოდ აღჭურვილი (მაგალითისთვის იხ. დანართი N1) კლინიკური უნარების ცენტრი/ლაბორატორია.</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ კლინიკის სასწავლო ფართის მოცულობა, რომელიც აღნიშნული კურსების განხორციელებისთვის იქნება გამოყოფილი; ▪ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ხელშეკრულების დადებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში აწვდის ინფორმაციას, საშუალოდ რამდენ პაციენტს იღებს და ემსახურება კლინიკა ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნული პირობა არ ვრცელდება იმ სუბიექტებზე, რომლებმაც კანონმდებლობის შესაბამისად, ფუნქციონირება დაიწყეს საანგარიშგებო წელს ან საანგარიშგებო წლის წინა წელს ისე, რომ ფუნქციონირების დაწყებიდან არ შესრულებულა საანგარიშგებო წლის სრული კალენდარული წელი. ერთ წლამდე გახსნილი კლინიკის შემთხვევაში, უმაღლესი
--	--



	<p>საგანმანათლებლო დაწესებულება კლინიკის მიერ გატარებული პაციენტების რაოდენობის შესახებ შესაბამის შუალედურ ინფორმაციას აწვდის უსდ-სთან ხელშეკრულების დადებიდან 6 თვის ვადაში.</p> <ul style="list-style-type: none"> ასევე, ხელშეკრულების პირობების შეცვლის, ხელშეკრულების გაუქმების ან ახალი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია ცენტრს წერილობით აცნობოს ახალი ხელშეკრულების დადებიდან, გაუქმებიდან ან ცვლილების განხორციელებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში და წარუდგინოს შესაბამისი ხელშეკრულება.
<p>ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები</p>	<p>საკუთარი ბიბლიოთეკა, სფეროს შესაბამისი ელექტრონული სასწავლო რესურსები და IT- ინფრასტრუქტურა სინქრონული და/ან ასინქრონული დისტანციური სამუშაო შეხვედრებისა და ფორუმების (მათ შორის - საერთაშორისო კომუნიკაციის ფარგლებში) ჩატარებისათვის.</p>

6.1 დარგობრივი მახასიათებლის ამოქმედებისა და მასთან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობაში მოყვანის ვადები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის № 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით“ გათვალისწინებული დეტალური სფეროს - „სამეანო საქმე“ (კოდი - 0913.1.2) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოიყვანოს დარგობრივი მახასიათებლის ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადი, საგანმანათლებლო



პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მიღების მიზნით, ცენტრში წარდგენილი იქნება 1 წლის ნაკლებ ვადაში.

- იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მიღების მიზნით, ცენტრში წარდგენილ უნდა იქნეს დარგობრივი მახასიათებლის ძალაში შესვლიდან 1 წელზე ნაკლებ ვადაში, საგანმანათლებლო პროგრამა განაცხადის წარდგენის ეტაპზე შესაბამისობაში უნდა იყოს წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელთან.
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია, ცენტრში სამეანო საქმის ახალი საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადის წარდგენის დროს, პროგრამა შესაბამისობაში იყოს წინამდებარე დარგობრივ მახასიათებელთან.



VII. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

7.1. დოკუმენტის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

სამეანო საქმის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს წევრები:

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1.	ზაზა ბოხუა	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	მედიცინის დოქტორი, პროფესორი; სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ინსტიტუტის დირექტორი; ამავე უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და საექთნო-საბებიო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი. საქართველოს მეან-გინეკოლოგთა ასოციაციის გენერალური მდივანი - საბჭოს თავმჯდომარე.
2.	ნატალია ხაჩიძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	საექთნო-საბებიო საბაკალავრო პროგრამის მოწვეული პედაგოგი; სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მთავარი ექთანი; საქართველოს ბეზიქალთა ასოციაციის პრეზიდენტი - საბჭოს მდივანი.



3.	ლარისა მელია	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მედიცინის აკადემიური დოქტორი; მედიცინის ფაკულტეტის მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრის მოწვეული ლექტორი - საბჭოს წევრი.
4.	ჯუმბერ უნგიაძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის, კრიტიკული მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
5.	სოფიო თამაზაშვილი	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	მედიცინის აკადემიური დოქტორი; კავკასიის მედიცინის სკოლის პროფესორი; შპს აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის პერინატალური ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე. სს ჩაჩავას კლინიკის ექიმ მეან-გინეკოლოგი; ამავე კლინიკის სამეანო სექტორის საოპერაციო ბლოკის ხელმძღვანელი და ორსულთა პათოლოგიის განყოფილების გამგე - საბჭოს წევრი.
6.	ზაზა სინაურიძე	შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი	მედიცინის დოქტორი, პროფესორი, შპს პინეოს სამედიცინო ეკოსისტემის პერინატალური დეპარტამენტის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.



7.	მარინე დავითულიანი	შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტი	მოწვეული ლექტორი; ქუთაისის ქალთა ჯანმრთელობის ცენტრის „ჰერა“ დირექტორი, გინეკოლოგი და კოლპოსკოპისტი - საბჭოს წევრი.
8.	მაგდა თორთლაძე	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი	მედიცინის დოქტორი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, სს ჩაჩავას კლინიკის ექიმი მეან-გინეკოლოგი - საბჭოს წევრი.
9.	აკოლონ მესხი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	მედიცინის დოქტორი, პროფესორი მეანობა-გინეკოლოგიის მიმართულებით, ჟორდანიას სამედიცინო ცენტრის მეან-გინეკოლოგი - საბჭოს წევრი.
10.	მაია გოგაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი, პროფესორი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის საექთნო დეპარტამენტის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
11.	მანანა მაჩიტაძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ჯანმრთელობის მეცნიერებათა სკოლის საექთნო დეპარტამენტის კლინიკური სწავლების კოორდინატორი, ლექტორი; ქართულ-ამერიკული საექთნო საზოგადოებრივი კოლეჯის მოწვეული ლექტორი, საქართველოს ექთნების ასოციაციის განათლების დეპარტამენტის კოორდინატორი - საბჭოს წევრი.
12.	თინათინ გაგუა	შპს დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის WHO ექსპერტი დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მიმართულებით - საბჭოს წევრი.



13.	შორენა სამუშია	შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი	ჯანდაცვის მეცნიერებათა ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი, შპს „ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის“ სამეანო-გინეკოლოგიური დეპარტამენტის უფროსი, EEU-ს ასოცირებული პროფესორი. საჯარო მმართველობის დოქტორანტი მეან-გინეკოლოგი - საბჭოს წევრი.
14.	ლელა სულაბერიძე	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სტრატეგიული განვითარებისა და ანალიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
15.	თეა ბაქრაძე	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საბჭოს წევრი.
16.	ნიკოლოზ კინტრია	ა(ა)იპ საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია	მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ასოციაციის პრეზიდენტი; სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მეან-გინეკოლოგი - საბჭოს წევრი.
17.	პლატონ მაჭავარიანი	ა(ა)იპ საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია	მედიცინის დოქტორი, ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი; სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მეან-გინეკოლოგი; სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის



			პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
18.	ია გელენიძე	ა(ა)იპ ექთანთა გაერთიანება	ა(ა)იპ - ექთანთა გაერთიანების დამფუძნებელი და აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - ჯანდაცვის და პერსონალური მომსახურებების დარგობრივი უნარების ორგანიზაციის უმაღლესი მართვის ორგანოს თავმჯდომარე; სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დარგის ექსპერტი; შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუსა და შპს - ევროპის უნივერსიტეტის საექთნო საქმის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მოწვეული ლექტორი; შპს - საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეასა“ და შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი/ პროფესიული მასწავლებელი - საბჭოს წევრი.
19.	ნინო სვანიძე	შპს - ამერიკული ჰოსპიტალი თბილისი	შპს - ამერიკული ჰოსპიტალი თბილისის განათლებისა და აკრედიტაციის საექთნო დეპარტამენტის დირექტორი - საბჭოს წევრი.
20.	დოდო სიგუა	სს ჩაჩავას კლინიკა	მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სამეცნიერო-სამედიცინო მიმართულების ხელმძღვანელი, მეან-გინეკოლოგი; საქართველოს მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და



			პერინატოლოგთა ასოციაციის გამგეობის წევრი - საბჭოს წევრი;
21.	პაატა ჟორჟოლიანი	შპს აკადემიკოს ო. ლუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი	პერინატალური ცენტრის ხელმძღვანელი - საბჭოს წევრი.
22.	კონსტანტინე ხარაბაძე	შპს იმედის კლინიკა	მედიცინის აკადემიური დოქტორი, მეან-გინეკოლოგი. სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეან-გინეკოლოგიის სპეციალობის სარეზიდენტო პროგრამის მოდულზე პასუხისმგებელი პირი; საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციისა და ექიმთა ასოციაციის წევრი - საბჭოს წევრი.
23.	ინგა ჭკადუა	შპს ი. ჟორდანიას სახელობის კლინიკა	მთავარი ექთანი - საბჭოს წევრი.
24.	მამუკა ნემსაძე	შპს ი. ჟორდანიას სახელობის კლინიკა	მედიცინის დოქტორი, “ი.ჟორდანიას სახელობის სამედიცინო ცენტრის კლინიკური დირექტორი, ექიმი მეან-გინეკოლოგი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაციისა და ექიმთა ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი, - საბჭოს წევრი.



დანართი №1

სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებისათვის განკუთვნილი სიმულატორების, მულაჟების და მანეკენების რეკომენდებული ჩამონათვალი

N	დასახელება	მახასიათებლები	შესაძლებლობები	სარეკომენდაციო დარგობრივი კომპეტეციები
1	მოზრდილი ავადმყოფის მოვლის მანეკენი	<ol style="list-style-type: none"> მანეკენი დამზადებულია გამძლე, უტეხი, წყალგამძლე პლასტმასისგან (საინექციო ადგილები არის რბილი რეზინის (სულ 6 ცალი მთელს სიმულატორზე), ხოლო ორგანოები და გენიტალიები – დრეკადი). შესაძლებელია ზედა და ქვედა კიდურების მოხრა და ცოცხალთან მსგავსი მოძრაობების შესრულება. 	<ul style="list-style-type: none"> პერსონალური ჰიგიენა და წმენდა მობილიზაცია ნახვევის დადება და ჭრილობის მოვლა თვალის, ყურის, ცხვირის, კუჭის, ნაწლავების და შარდის ბუშტის ირიგაცია ინტრამუსკულური და კანქვეშა ინიექციები ნაზოგასტრული ლავაჟი 	პრაქტიკული პროცედურები



		<p>3. მანეკენს აქვს სიმულირებული გული, შარდის ბუშტი და ნაწლავები, ასევე, შესაძლებელია მათი ამოღება და ჩადგმა.</p> <p>4. შესაძლებელია კათეტერიზაციის ჩატარება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ჟანგბადის მიწოდება და ხელოვნური სუნთქვა • ტრაქეოსტომის მოვლა • შარდის ბუშტის კათეტერიზაცია (ქალის • სტომის მოვლა • ოყნის გაკეთება 	
2	ვენეპუნქციის პაღი – მულაჟი	<p>1. ვენეპუნქციის პაღის ვენური ქსელი წარმოადგენს მარჯვენა მკლავის აცეტაბულური ფოსოს ვენური ქსელის მქონე დაფას, დაფარულს სპეციალური ღრუბლით.</p> <p>2. სიმულატორის ვენური ქსელის შევსება წარმოებს განცალკევებით და არ არის მიერთებული სპეციალურ სისხლის პაკეტთან.</p> <p>3. პაღის საფარი ეპიდერმისი გამძლეა და ადვილად ირეცხება წყლით და საპნით.</p>	<ul style="list-style-type: none"> • პალპაციით ვენის მოძებნა • ვენის პუნქცია ნემსით • კათეტერის ჩადგმა • სისხლის მიმოქცევის მენეჯმენტი • სისხლის აღება 	პრაქტიკული პროცედურები
3	მკლავის მულაჟი ინტრავენური ინიექციისთვის	<p>1. ინტრავენური ინიექციის მკლავი დამზადებულია გამძლე სილიკონისგან.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ინტრავენური ინიექციის წარმოება • პერიფერიული ვენეპუნქცია 	პრაქტიკული პროცედურები



		2. მკლავზე გამოხატულია საღმის, შევარდნის, იდაყვის შუა ვენები და მტევნის დორზალური ვენური ქსელი.		
4	ვენური იმიტატორი (მულაჟი)	<ol style="list-style-type: none"> 1. ვენური მილი ქმნის 2 ხაზს: ერთი – ნორმალური, ერთი – თხელი. 2. ხელოვნური ვენის კედელს აქვს ნამდვილის მსგავსი რეზისტენტობა. 3. ხელოვნური ვენები ადვილად ივსება სითხით რბილი პლასტმასის ბოთლის გამოყენებით, რომელიც მუშაობს დეგუშით. 4. შესაძლებელია პუნქციის დაფის მოხსნა და დამაგრება ადამიანის ან სხვა მანეკენის მკლავზე. 5. მულაჟი წარმოადგენს რეზინის ჩარჩოს რომელშიც არის ხელოვნური ვენები, დაფარული სპეციალური ღრუბლით. 	<ul style="list-style-type: none"> • ვენეპუნქცია • ინტრავენური ინიექცია 	პრაქტიკული პროცედურები
5	ვენური პუნქციის ტრენირების მკლავის	1. მულაჟი წარმოადგენს მკლავს, რომელიც დამაგრებულია სპეციალურ სადგამზე. მკლავი	<ul style="list-style-type: none"> • ინტრავენური, კუნთში და კანქვეშა ინიექციების ჩატარება 	პრაქტიკული პროცედურები



<p>მრავალფუნქციური მულაჟი</p>	<p>დაფარულია მაღალი ხარისხის სილიკონ/ რეზინით და მასში მოთავსებულია სიმულირებული ვენები, რომლებიც დაკავშირებულია ხელოვნური სისხლით სავსე პაკეტთან.</p> <ol style="list-style-type: none">2. მულაჟს გააჩნია ვენური წნევის მარეგულირებელი ბალონი.3. მულაჟზე განსაზღვრულია ტუბერკულინზე ტესტის ჩასატარებელი სპეციალური ადგილი.4. ვენაში შესვლისას არის პაციანტთან მიახლოებული შეგრძნება.5. მულაჟის ხელზე გამოხატული აქვს სრული ვენური ქსელი.6. მულაჟზე განირჩევა შევარდნის, სალმის, იდაყვექვეშა, სხივის და იდაყვის ვენები.7. შესაძლებელია კუნთშიდა ინიექცია დელტისებური კუნთის მიდამოში, წინამხარსა და მხარზე.8. შესაძლებელია სისხლის აღება.		
-----------------------------------	---	--	--



6	<p>კუნთშიდა ინექციის თემოს მულაჟი</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მულაჟი წარმოადგენს სხეულის ქვედა ნაწილს წელიდან მუხლებამდე. 2. მულაჟის ერთ მხარეს ჩანს მენჯის გარეგანი კუნთოვანი და ნერვ-სისხლძარღვოვანი ანატომიური სურათი, მეორე მხარეს კი შესაძლებელია ინტრამუსკულური ინიექციების ჩატარება. 	<ul style="list-style-type: none"> • დუნდულოს მიდამოს ზედა კვადრანტში ინტრამუსკულური ინიექცია • თემოს წვეტის ქვევით ვენტროგლუტეურ მიდამოში ინტრამუსკულური ინიექცია • ბარძაყის ლატერალურ მიდამოში ინტრამუსკულური ინიექცია • საზარდულის მიდამოს ზევით მუცლის წინა კედელზე კანქვეშა ინიექცია • ბარძაყის ვენის და არტერიის ლოკალიზაციის განსაზღვრა • დუნდულოს მიდამოს პალპაცია 	<p>პრაქტიკული პროცედურები</p>
7	<p>კანქვეშა, კანშიდა და კუნთშიდა ინიექციის პადი (მულაჟი)</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მულაჟი არ არის დამზადებული ლატექსზე. 2. მულაჟი ქმნის შემდეგი ქსოვილოვანი შრეების სიმულაციას: ეპიდერმისი, დერმა, ცხიმოვანი და კუნთოვანი. 3. შესაძლებელია ეპიდერმისის სიმულირებული შრის მოხსნა და მის ქვეშ დაგროვილი სითხის გამოშვება, 	<ul style="list-style-type: none"> • კანქვეშა, კანშიდა და კუნთშიდა ინიექციების ჩატარება 	<p>პრაქტიკული პროცედურები</p>



		<p>შემდგომში დამაგრება და საინიექციო შპრიცით სითხის სხვა დოზის შეყვანა.</p> <p>4. შესაძლებელია ინტრამუსკულურად შეყვანილი სითხის გამოდევნა.</p> <p>5. ეპიდერმისი არის გამძლე და იცვლება ადვილად.</p> <p>6. შესაძლებელია სიმულატორის დამაგრება სტუდენტის ან ტრენერის მკლავზე ან ფეხზე.</p> <p>7. მულაჟი წარმოადგენს პლასტმასის ჩარჩოზე დამაგრებულ რბილ ღრუბელს, რომელზეც გადაფარებულია სპეციალური ეპიდერმისი.</p>		
8	ქირურგიული ნაკერის მკლავის მულაჟი	<p>1. მულაჟი დამზადებულია ვინილის კანისგან, რომელიც გადაკრულია მყარ ქაფზე.</p> <p>2. კანი მაქსიმალურად რეალურთან მიახლოებულია ნაოჭებით, ფორებით და თითის ანაბეჭდებით.</p> <p>3. მულაჟზე არის რამდენიმე ჭრილობა.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ჭრილობის გაკერვა • ძველი ჭრილობების გაკერვის შემდეგ კანის დაზიანების შემთხვევაში მკლავზე შესაძლებელია ახალი ჭრილობების გაკეთება 	პრაქტიკული პროცედურები



9.	შორისის მულაჟი	<p>1. მულაჟი წარმოადგენს რბილი მასალისგან დამზადებულ, რეალურ ანატომიურ მოდელს შორისის კანის და კუნთების იმიტაცია. ტრენაჟორი ეპიზიოტომიით, შორისის დაზიანებით, კუნთოვანი შრის დაზიანებით წარმოადგენს კარგ სავარჯიშო საშუალებას შორისის სხვადასხვა დაზიანების აღდგენისთვის, და ნაკერების დადებისთვის.</p>	<ul style="list-style-type: none"> • შორისის დაზიანების ხარისხის შეფასება; • ჭრილობის გაკერვა; • ეპიზიოტომიის აღდგენა. 	<p>პრაქტიკული პროცედურები</p>
10.	ქალის შარდის ბუშტის კათეტერიზაციის მულაჟი	<ol style="list-style-type: none"> 1. არ შეიცავს ლატექსს; 2. აქვს შარდსადენის რეზისტენტული სპინქტერი რეალობასთან მიახლოებული რეაქციისთვის. 3. აქვს სარქველი საწვეთურის გარეშე. 4. მულაჟზე დიდი და მცირე სასირცხვი ბაგეები გამოხატულია ნაწილობრივ ისე, რომ ახდენს ვაგინური ხვრელის და შარდსადენის ფორმირებას. 5. სიმულატორს მოყვება შტატივი, სადაც დამაგრდება პარკი სითხით. 	<ul style="list-style-type: none"> • ქალის სასქესო ორგანოების ანატომიის შესწავლა • ასეპტიკური კათეტერიზაცია • 12-16 F ფოლეთის კათეტერის ჩადგმა • სითხის მართვა • კათეტერის ამოღება 	<p>პრაქტიკული პროცედურები</p>



		<p>6. შესაძლებელია ადგილობრივი საანესთეზიო გელის გამოყენება.</p> <p>7. შესაძლებელია ასეპტიური კათეტერიზაციის წარმოება.</p>		
11	წნევის გაზომვის სიმულატორი	<p>1. ჯანმო–ს კლასიფიკაციაზე დაფუძნებული წინასწარ დაყენებული მაგალითები ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობებისთვის.</p> <p>2. შესაძლებელია მანქეტში წნევის დაჩუტვის მონიტორინგი.</p> <p>3. სიმულატორი, ასევე, გამოდგება სტუდენტის ობიექტური უნარების შესაფასებლად.</p> <p>4. ასევე, არის აუსკულტაციური პაუზა და „კოროტკოვის მე-5 ტონი” ისევე, როგორც არტერიული წნევის სხვადასხვა ნიმუში.</p>	<ul style="list-style-type: none"> • მანქეტის მოთავსება, მანუალური ტონომეტრია, კოროტკოვის ტონების აუსკულტაცია, რადიალური პულსის პალპაცია, არტერიული წნევის წაკითხვა, მანქეტის „დაჩუტვა”. <p><u>ხილული ციფრული მაჩვენებლები:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • მანქეტის „დაჩუტვის” დონე და არტერიული წნევის მაჩვენებლები დიგიტალურად მოსჩანს, რაც ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა, • სიმულატორის მიერთება შეიძლება გარე გამაძლიერებელზე (არ მოჰყვება) და კოროტკოვის ტონების მოსმენა. 	პრაქტიკული პროცედურები



			<ul style="list-style-type: none"> დაყენებული ნიმუშები: სასურველი, ნორმა, პრეჰიპერტენზია, ჰიპერტენზია (1-3 სტადია), იზოლირებული სისტოლური ჰიპერტენზია, აუსკულტაციური პაუზა, „კოროტკოვის მე-5 ტონი“. 	
12	<p>მოზრდილი პაციენტის ტრავმის მანეკენი</p>	<ol style="list-style-type: none"> მანეკენზე ისინჯება კაროტიდული (საძილე) პულსი. მანეკენის ზედაპირზე არის ანატომიური ნიშნულები: მკერდის ძვალი, ნეკნთა რკალი და მკერდის ძვლის ქვედა (სუბსტერნალური) ჩანაჭდევი. მანეკენზე შესაძლებელია გულ-ფილტვის რეანიმაციის, და ხელოვნური სუნთქვის პროცედურების განხორციელება. მანეკენს გააჩნია მკლავი ინტრავენური ინიექციისთვის. სიმულატორებს მოყვება სპეციალური ჭრილობების პაკეტი. 	<ul style="list-style-type: none"> მანეკენზე შესაძლებელია გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკის წარმოება, კერძოდ, გულის არაპირდაპირი მასაჟი, ფილტვის ხელოვნური ვენტილაცია. მანეკენზე შესაძლებელია ჭრილობების პირველადი დამუშავება, ინტრავენური ინიექციის წარმოება. შესაძლებელია მანეკენის ტრანსპორტირება საკაცით სხვადასხვაგვარი ჭრილობის ვარიანტებით. 	<p>გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები)</p>



13	<p>ბაზისური მულაჟი სასიცოცხლო ფუნქციების შესანარჩუნებლად</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მულაჟს აქვს თავი სასუნთქი გზებით პირით პირში და პირით ცხვირში ხელოვნური სუნთქვის ჩასატარებლად. 2. შესაძლებელია თავის გადახრა სასუნთქი გზების გასახსნელად. 3. ფილტვების ვენტილაცია შესაძლებელია ასევე ამბუს ტომრის მეშვეობით. 4. ზეწოლის რეალური მოცულობა და ზეწოლის მინიმალური სიღრმე ზღვრული მინიმუმის გადაჭარბებისას იძლევა ხმიანობას, რაც ხორციელდება სპეციალური ცვლადი ზამბარის მეშვეობით. 5. დაბალი ფასი, ადვილად შეცვლადი სასუნთქი გზები განაპირობებს მანეკენის ჰიგიენურ გამოყენებას და ადვილად მოვლას. 	<p>მულაჟი წარმოადგენს ტორსს მხრებითა და ყველა საჭირო ანატომიური დეტალით გულის არაპირდაპირი მასაჟის დროს წერტილების იდეალური განსაზღვრისათვის.</p>	<p>გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები)</p>
----	---	--	---	--



14	<p>ახალშობილის მულაჟი</p>	<p>ახალშობილის მულაჟი (სიმულატორი) წარმოადგენს ჩვილის სრულ ანატომიურ მოდელს, რომელსაც ხშირად აქვს რბილი, რეალისტური კანი და მოძრავი კიდურები. აღჭურვილია შიდა ტექნოლოგიური შესაძლებლობებით, რათა მოახდინოს სხვადასხვა ფიზიოლოგიური პარამეტრის სიმულაცია და დაუშვას ინვაზიური პროცედურების ჩატარება</p>	<p>მულაჟით შესაძლებელია საწყისი შეფასება და სტაბილიზაციის; დადებითი წნევითი ვენტილაციის; სასუნთქი გზების მოწინავე მართვის; გულმკერდის კომპრესიებისა(CPR) და მედიკამენტების შეყვანის სიმულაციური სწავლება</p>	<p>პრაქტიკული პროცედურები</p>
15	<p>სამეანო-გინეკოლოგიური მულაჟი</p>	<p>ორსული ქალის გასინჯვის და მშობიარობის სიმულატორი</p> <p>1. სიმულატორი წარმოადგენს ქალის ქვედა ტორსს გამოხატული გენიტალიებით, ანატომიური ორიენტირებით.</p> <p>სიმულატორის კომპლექტში შედის: ახალშობილი პლაცენტითა და ჭიპლარით.</p> <p>ქალის გინეკოლოგიური გასინჯვის სიმულატორი</p> <p>1. სიმულატორი წარმოადგენს ქალის ქვედა ტორსს გამოხატული</p>	<p><u>სიმულატორით შესაძლებელია განხორციელდეს:</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ორსული ქალის მუცლის პალპაცია ლეოპოლდის მანევრების გამოყენებით; • ფიზიოლოგიური ვაგინალური მშობიარობა (თავით წინმდებარეობა, მენჯითწინმდებარეობა) საშვილოსნოს ფუძის სიმაღლის გაზომვა; • მუცლის გარშემოწერილობის გაზომვა; • გარეთა სასქესო ორგანოების ინსპექცია; 	<p>პრაქტიკული პროცედურები</p>



		გენიტალიებით, ანატომიური ორიენტირებით, თან უნდა ახლდეს ნორმალური და პათოლოგიური საშვილოსნოს ყელები.	<ul style="list-style-type: none"> • საშოში სარკის ჩადგმა და ამოღება; • საშვილოსნოს ყელიდან ნაცხის აღება (პაპ ტესტი). 	
16	ზოგიერთი ქირურგიული ინსტრუმენტი	<ol style="list-style-type: none"> 1. სკალპელი – ქსოვილთა გასაკვეთი ქირურგიული ინსტრუმენტი ბასრი, ალესილი ბოლოთი; 2. ქირურგიული დანა – რბილი და ზოგიერთი მკვრივი ქსოვილის გასაკვეთი, ბასრი ქირურგიული ინსტრუმენტი. 3. მაკრატელი – ბლაგვწვერიანი, სწორი ან მოხრილი (კუპერის), მჭრელი ქირურგიული ინსტრუმენტი. 4. პინცეტი – ფირფიტისებრი, კბილიანი ან უკბილო, დამხმარე ქირურგიული ინსტრუმენტი. შედგება ორი, ერთ ბოლოზე ერთმანეთთან შედუღებულნიან მჭიდროდ მიერთებული ლითონის 	<ul style="list-style-type: none"> • სკალპელი გამოიყენება ქსოვილთა გასაკვეთად; • ქირურგიული დანა- გამოიყენება ქირურგიული ოპერაციების და კიდურის ამპუტაციის დროს; • ფართოდ გამოიყენება ქირურგიულ პრაქტიკაში, ქსოვილთა პრეპარირების დროს როგორც ზედაპირულად, ასევე ჭრილობის სიღრმეში. ბლაგვწვერიანი, სწორი მაკრატელი (ე.წ. მარლის მაკრატელი) გამოიყენება მარლის გასაჭრელად; • პინცეტი-ფართოდ გამოიყენება ქირურგიულ პრაქტიკაში სხვადასხვა ქსოვილის, მასალის და 	პრაქტიკული პროცედურები



		<p>ფირფიტისგან, რომელთა თავისუფალი ნაწილი (სამუშაო ტუჩები ანუ თათები სოლისებურად არიან განზიდული; პინცეტის ფირფიტის გარეთა ზედაპირზე მცირე ზომის ღარებია (ინსტრუმენტის ხელში კარგი ფიქსაციისთვის), თათების ფორმა კი დამოკიდებულია პინცეტის ტიპზე.</p> <ul style="list-style-type: none"> • პინცეტის ტიპები: ფორმის მიხედვით _სწორი ან მოხრილი. აგებულების მიხედვით – ანატომიური (უკბილო), ქირურგიული (კბილიანი) და მიზნობრივი დანიშნულების; <p>5. კორცანგის მომჭერი – შედგება ორი ფუნქციური ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთთან ხრახნითაა შეერთებული. კორცანგის ბრანშები ბოლოვდება ოვალური ფორმის ტუჩებით; ამ უკანასკნელის სამუშაო ზედაპირზე ოვალური ჩაღრმავება</p>	<p>პატარა ზომის ინსტრუმენტის დასაჭერად;</p> <ul style="list-style-type: none"> • კორცანგის მომჭერი გამოიყენება სტერილური ინსტრუმენტის და შესახვევი მასალის მისაწოდებლად, ჭრილობაში ტამპონის და დრენაჟის შესატანად; • ქსოვილის საფიქსაციო მომჭერები ამიტომაც აღნიშნული ინსტრუმენტები კონსტრუირებულნი არიან ისე, რომ მათი უმნიშვნელოვანესი ნაწილი, სამუშაო ტუჩის ბოლოები, მჭიდროდ ეკვრიან ერთმანეთს, მაგრამ ტუჩებს შორის რჩება სამუშაო სივრცე. ზოგჯერ მათ გააჩნიათ კბილები, რომელთა დახმარებით ინსტრუმენტი კარგად ფიქსირდება. 	
--	--	--	---	--



		<p>და ირიბი ნაჭდევია; ბრანშები ფიქსირდება კრემალიერით.</p> <p>6. ქსოვილის საფიქსაციო მომჭერები – ტრავმული (კბილიანი) ანატრავმული (უკბილო) დამხმარე ქირურგიულ ინსტრუმენტთა ჯგუფი, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება ქსოვილთა ფიქსაცია, ტრაქცია (გამოწევა) ან ურთიერთდაპირისპირება.</p>		
--	--	--	--	--